# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№146 (9826) 2024 წლის 18 დეკემბერი. ოთხშაბათი

ფასი 1 ლარი


## კორუმპირებული ევროპარლამენტარების შანტაჟის მცდელობა ჩავარდა!





*ჩემო სულიერო შვილებო,*

ქვეყანაში ბოლო დღეების მანძილზე განვითარებული მოვლენები ნათლად წარმოაჩენს, რომ აუცილებელია, თითოეული ჩვენგანის ვალდებულებად იქცეს მშვიდობისათვის ზრუნვა. ყოველი ადამიანი — დიდი თუ პატარა — უნდა გაემიჯნოს ძალადობას და გააცნობიეროს, რომ ჩვენს რთულ დროში მდგომარეობის მკვეთრად დამაბვა რეალურ საფრთხეს უქმნის ქვეყნის მთავარ მონაპოვარს — სახელმწიფოებრიობასა და სუვერენიტეტს!

## უსიყვარულობა, ცინიზმი, უპატივცემულობა დამღუპველი ცოდვებია!

2

ნუგზარ რუხაძე




8

## ფერადი რევოლუცია ბოროტების სინონიმია!

### მე ვარ სატანა და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის!..



5

## ღმერთი სამობით არის!..

ვის არ მოსწონს ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმა, ღმერთი სამობით არისო. დიდი იმედი გვაქვს სააკაშვილის, მარგველაშვილისა და ზურაბიშვილის შემდეგ მეოთხე პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი გადაფარავს ქვეყნის სიყვარულით, ეროვნული საქმეების კეთებით, კეთილშობილებით, რაინდობით წინა სამი პრეზიდენტის სამარცხვინო საქმეებს.

## ჩინეთის ლიდერმა ძალიან კარგად იცის, რომ ტრამპი მუქარის შემსრულებელია



3



7

## სიტყვის განძი მერაბ ელიოზიშვილისგან

### ცნობილი მწერლის, დრამატურგისა და მოძღვრის უკვდავება



# უსიყვარულობა, ცინიზმი, უპატივცემულობა დამღუპველი ცოდვებია!

ჩემო სულიერო შვილებო, ქვეყანაში ბოლო დღეების მანძილზე განვითარებული მოვლენები ნათლად წარმოაჩენს, რომ აუცილებელია, თითოეული ჩვენგანის ვალდებულებად იქცეს მშვიდობისათვის ზრუნვა. ყოველი ადამიანი – დიდი თუ პატარა – უნდა გაემიჯნოს ძალადობას და გააცნობიეროს, რომ ჩვენს რთულ დროში მდგომარეობის მკვეთრად დაძაბვა რეალურ საფრთხეს უქმნის ქვეყნის მთავარ მონაპოვარს – სახელმწიფოებრიობასა და სუვერენიტეტს! და ამის გათვალისწინებითაც განსაზღვროს თავისი ნაბიჯები.

პატრიარქის განცხადებით, „უმართავი პროცესების თავიდან აცილების მიზნით, უმნიშვნელოვანესია, კონსტრუქციულობით მიღწეულ იქნას დიალოგი“.

✦ ✦ ✦

„ჩვენი პრობლემა დღეს ისიცაა, რომ ვერ ვხვდებით, როგორ ვშორდებით ღმერთს და მისი მცნებების წინააღმდეგ ვმოქმედებთ; გვავიწყდება, რომ უსიყვარულობა, ცინიზმი, უპატივცემულობა რაც, სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების ნაწილისათვის ჩვევად იქცა, დამღუპველი ცოდვებია; (ამის გამოვლინებაა სიძულვილის ენა და ფიზიკური ანგარიშსწორება). ურთიერთსიძულვილით, გაბოროტებით, ღვარძლით ვერცერთ ეროვნულ ამოცანას ვერ გადავწყვეტთ და საკუთარ თავსაც და სახელმწიფოსაც მხოლოდ დავაზარალებთ. ჩვენი ქრისტიანობა მთავრდება იქ, სადაც მთავრდება მოყვასისადმი სიყვარული. მთელი ჩემი ცხოვრება საქართველოსთვის ვლოცულობ. დღესაც მუდმივად შევთხოვ უფალს, მოგვცეს გული გონიერი და ლმობიერი. ჩვენ ყველას სამშობლოს სიყვარული გვაერთიანებს; ამიტომაც მოგმართავთ: საქართველოს კეთილდღეობისათვის გავერთიანდეთ ლოცვით, რათა ღვთის შეწევნითა და შინაგანი მშვიდობით შევძლოთ მართებული ნაბიჯების გადადგმა.

ერთობლივ ლოცვებს დიდი ძალა აქვს.

საქართველოსა და უცხოეთში მოღვაწე ჩვენს სასულიერო პირებს გთხოვთ კურთხევა, ყოველდღე, 13:00 საათზე, დარეკოთ ზარი და აღავლინოთ სავედრებელი პარაკლისი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი, ხოლო საქართველოსა და უცხოეთში მყოფ მრევლს გთხოვთ (ვირად კანონთან ერთად), დღის განმავლობაში ილოცოთ: „მამაო ჩვენო“, 90-ე ფსალმუნი, „მოწყალებისა კარი განგვიღე“, „ღვთისმშობელო ქალწულო გიხაროდენ“ (3-ჯერ), ასევე, წმ. ანდრია მოციქულის, წმ. ნინოს, წმ. გიორგისა და წმ. ნიკოლოზის ტროპრები და ბოლოს ,,აცხოვნე, უფალო, ერი შენი“.

საქართველო ევროპული ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილია და ჩვენი ვალია, ხელი შევუწყოთ ჩვენს მრავალსაუკუნოვან ქრისტიანულ სულიერ-კულტურულ მემკვიდრეობასა და ტრადიციულ ღირებულებებზე დაფუძნებული ევროპული ტიპის ეროვნული სახელმწიფოს განმტკიცებასა და განვითარებას.

**ილია II**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი



**ირაკლი კობახიძე:**

# ...საზოგადოების თანადგომით შევძელით ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საფრთხეების თავიდან აცილება!

– ეს არის მნიშვნელოვანი გზავნილი, მნიშვნელოვანი გაფრთხილება. ჩვენ სწორედ ამას ვაკეთებთ მთელი ამ სამი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით ბოლო სამი წლის განმავლობაში. ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი იმისათვის, რომ საქართველოში არ განხორციელებულიყო ის სცენარი, რომელიც განხორციელდა უკრაინაში. ყველაფერი დაიწყო 2013 წელს მაიდნით, ამას მოჰყვა მაიდნის დასრულებისთანავე რამდენიმე დღეში პირველი ომი, მოგვიანებით ამას მოჰყვა მეორე ომი და დღეს ჩვენი მეგობარი ქვეყანა, უკრაინა არის განადგურებული, ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით ერთი მეოთხედი არის ქვეყნიდან გასული ან ქვეყნის შიგნით არის დევნილად ქცეული. დაღუპულია ასიათასობით უკრაინელი. ეს ყველაფერი მოუტანა უკრაინას სწორედ იმან, რომ სათანადო სიფრთხილე ვერ გამოიჩინა მაშინ საზოგადოებამ. ქართველი საზოგადოება არის უფრო გამოცდილი და შესაბამისად, სწორედ ქართველი საზოგადოების თანადგომით ჩვენ შევძელით საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საფრთხეების თავიდან აცილება და პირველ რიგში შევძელით ჩვენი ქვეყნისთვის ომის თავიდან აცილება!

**შალვა პაპუაშვილი**

# ეს აქციები სიძულვილით იკვებება!



„იმედი მაქვს, რომ ისტორიაში პირველად არ ვნახავთ პრაქტიკაში რეალიზებულ გამონათქვამს, რომ ვიღაც საკუთარ სკამს ჩაებღაუჭა. ამ სურათს თუ დაგვანახებს, როგორ ებღაუჭება თავის სავარძელს, ალბათ ერთს გავიცინებთ ქართველები და გავაგრძელებთ ჩვენს დიდ ისტორიას. ოპოზიციის გეგმაა მტრობა და სიძულვილი. ეს აქციები იკვებება სიძულვილისგან. ჩანდა, ევროპის სახელით როგორ უვარდებიან სასულიერო პირს, სადაც დედას მიუვარდნენ, კარგად ხედავდნენ ევროპის სახელით როგორ ესროდნენ ქვებს. როცა ვსაუბრობთ ოპოზიციაზე, მათ არ აქვთ ღირებულებითი საფუძველი. განსაკუთრებულ ექსტაზშივარდებიან, როცა გარედან ვინმე შეაქებს, ან საქართველოს გარედან დაძრახავს!

# კორუმპირებული ევროპარლამენტარების შანტაჟის მცდელობა ჩავარდა!



**დასავლური ქვეყნები და მათი სხვადასხვა სტრუქტურები ქართველ საზოგადოებას ორად ყოფენ, ქვეყანაში კონფლიქტს ქმნიან და ატარებენ პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობს დაუმორჩილებლობას. როგორც ჩანს, დასავლეთის სურვილია, ქვეყანა სამოქალაქო ომში ჩაითრიოს. თუმცა, საქართველოს „უკრაინიზაციის“ მიზანი არ შესრულდა. საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობა და რუსეთის წინააღმდეგ „მეორე ფრონტის“ გახსნა დასავლეთის მთავარ პრიორიტეტებს შორის არის.**

ორმხრივი ბრალდებები ქვეყნის ევროინტეგრაციაზე, დასავლეთის ქვეყნების საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევაზე და დასავლეთის ამ ქმედებებზე პროტესტი გრძელდება. სწორედ ასეთ დროს შედგა ევროპარლამენტარების ვიზიტი საქართველოში. ადგილობრივ მედიაში ხაზგასმულია, რომ მათი ვიზიტის მისია მხოლოდ კონფლიქტის შექმნას აღრმავებს.

ამასთან, განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოს პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი ქადაგიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებები. მისი თქმით, ევროპელი დეპუტატები ხელისუფლებას დაემუქრნენ და ოპოზიციის ქმედებებზე ცრუ ინფორმაცია გააჟღერეს, ეს კი ხელისუფლებისთვის, რა თქმა უნდა, მიუღებელია.

უფრო მკაცრი მოსაზრებები გამოთქვა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ რატი იონათამიშვილმა. მან გააკრიტიკა ევროპარლამენტის დეპუტატების ვიზიტი საქართველოში. „ფაქტობრივად აქცია აღარ არის, რუსთაველის გამზირზე ხალხის რაოდენობა შეცოტავდა. უბრალოდ, ევროპარლამენტარების საპროტესტო აქციაზე მისვლა დაპირისპირებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს. არა და ამ ადამიანებს, რეალურად არანაირი გავლენა არ აქვთ ქართველ საზოგადოებზე. როთების მოსვლა და ის ფაქტი, რომ ეს ხალხი აქ არის, არაფერს შეცვლის მოქმედებაში. როდესაც ადამიანები არ არიან გულწრფელები და მოდიან მხოლოდ ქაოსის გასამყარებლად, ასეთ გეგმებს საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერა არ ექნება. პირიქით, ეს უკვე გაუჩინარებული ბრალდების კიდევ უფრო გაქრობას შეუწყობს ხელს“, – განაცხადა რატი იონათამიშვილმა.

ქართველი პოლიტიკოსების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ევროკავშირმა საქართველოსთან შანტაჟის ენაზე საუბარი უნდა შეწყვიტოს და თანამშრომლობის განხილვა დაიწყოს. მაგალითად, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ ევროკავშირმა საქართველოსთან შანტაჟის ენის გამოყენება უნდა შეწყვიტოს და თანამშრომლობაზე მსჯელობა დაიწყოს. მისი აზრით, ევროკავშირმა უნდა შეწყვიტოს შანტაჟი და ზეწოლა საქართველოზე.

სხვათა შორის, სავიზო შანტაჟის საკითხიც დგას დასავლეთის მხრიდან. ამასთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა მინისტრმა მაკა ბოჭორიშვილმა განაცხადა, რომ ისინი რეალურად აშანტაჟებენ საქართველოს მოქალაქეებს ვიზალიბერალიზაციის გაუქმებით. საქართველოს მოქალაქეები შიშობენ, რომ მათ მიმართ შესაძლოა გარკვეული ზომები იქნას გამოყენებული. მინისტრის თქმით, მან არ იცის, რამდენად მართალია, რომ საქართველოში დელეგაცია ევროპარლამენტის სახელით ჩავიდა: „ევროპარლამენტს აქვს საკმაოდ მკაცრი წესები დელეგაციების შემადგენლობასთან, მათ დანიშვნასთან და მათ ვიზიტებთან დაკავშირებით. საინტერესოა, ვისი სახელით საუბრობენ და რატომ მოვიდნენ“.

მან სინანულით განაცხადა, რომ ხშირად ვხედავთ, ევროპარლამენტის დეპუტატების ცეცხლზე ნავთის დასხმას: „ამის მიზანი ცალკე საკითხია. ასევე, ჩვენ ვხედავთ ევროპარლამენტის წევრებს, რომლებიც ძალიან აკრიტიკებენ საქართველოს. მათ არ სურთ ობიექტური სურათის დანახვა. არაერთხელ გვინახავს მათი „შემოქმედება“, რომელიც ევროპარლამენტის რეზოლუციებში აისახა.

ჩამოთვლილი ფაქტები და გამოთქმული მოსაზრებები არ არის რაიმე ალბათობა ან მოსაზრება, არამედ გამოთქმულია ქვეყნის ოფიციალური პირების, პარლამენტარებისა და პოლიტიკური პარტიების ლიდერების მიერ. ამრიგად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასავლეთის სცენარი და გეგმები საქართველოსთან დაკავშირებით არ შესრულდა და ამ მიზეზით საბოლოოდ გადაწყდა პროცესში ევროპარლამენტის დეპუტატების ჩართვა. საპროტესტო აქციებმა მოსალოდნელი შედეგი არ გამოავლინა. „ვიზა შანტაჟმაც“ ვერ შეცვალა საზოგადოება და ხელისუფლება.

ამიტომ ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასავლეთის ქართული პროექტი ჩავარდა. ამ მიზეზით უახლოეს დღეებში შეიძლება ველოდოთ უფრო მკაცრ განცხადებებს და გადაწყვეტილებებს.

Report.az-დან თარგმნა
**ქეთი გიორგაძემ**

# ევროპარლამენტის სხდომაზე სალომე ზურაბიშვილის მიწვევით პატარა პერფორმანსი უნდა შედგეს!..



**ჩვენ რა ინფორმაციაც გვაქვს, აპირებენ ევროპარლამენტის სხდომაზე სალომე ზურაბიშვილის მიწვევას, სადაც პატარა პერფორმანსი უნდა შედგეს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მთავრობის ადმინისტრაციაში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

„მას ფეხზე უნდა წამოუდგნენ, როგორც ზელენსკის და ოვაციებით უნდა დაასრულოს საკუთარი გამოსვლა. რა თქმა უნდა, ასეთი მარტივი პერფორმანსებით ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენენ კონკრეტული ჩინოვნიკები და პოლიტიკოსები ჩვენს ქვეყანაში მოვლენების განვითარებაზე“.

ესტონეთისა და ლიეტუვის ხელისუფლებას დაავალეს პროვოკაციის მოწყობა საქართველოს წინააღმდეგ, თუმცა ჩვენ პროვოკაციას არ ავყევით!

ესტონეთთან და ლიეტუვასთან საქართველო დარჩა ცალმხრივი მეგობრობის რეჟიმში.

✦ ✦ ✦

**ყველანაირ** საფრთხეებს თვლის მთავრობა, არა მარტო ეკონომიკურს, ყველა თვალსაზრისით საფრთხეების პრევენციაზე მუშაობს ჩვენი ხელისუფლება.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ეფექტიანი და ეფექტური მუშაობის შედეგია ის, რომ ყველა საფრთხე არის აცილებული.

რადიკალური ოპოზიციის ამ ბოლო მცდელობამ, მოეწყო მაიდანი ჩვენს ქვეყანაში და აერია ქვეყანა, რა თქმა უნდა, იმოქმედა ბიზნესზეც. მაიდანი ჩავარდა, ყველაფერი დამშვიდდა და რაც იყო დანაკლისი დეკემბრის პირველ ნახევარში, იანვრიდან აღდგება.

✦ ✦ ✦

**რეალურად**, ქალბატონმა კაია კალასმა სალომე ზურაბიშვილს ხაზი გადაუსვა, როდესაც აღნიშნა, რომ 29 დეკემბერს გადის მისი უფლებამოსილების ვადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, 29 დეკემბერს მას მოუწევს თანამდებობის დატოვება და ჩაანაცვლებს არჩეული პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი.

✦ ✦ ✦

**ჩვენ** იმედი გვაქვს, რომ 20 იანვრიდან საბოლოოდ დასრულდება შანტაჟის ეს პრაქტიკა, კონკრეტული ევროპელი პოლიტიკოსების და ჩინოვნიკების მხრიდან და დასრულდება ხელისუფლებაში კოლექტიური „ნაცმოძრაობის“ დაბრუნების მცდელობა!

– ევროპა, ევროკავშირი კონკრეტულად დღეს დგას ძალიან რთული გამოწვევების წინაშე. ხედავთ, რა ხდება სხვადასხვა ქვეყანაში, არის პოლიტიკური კრიზისი არაერთ ქვეყანაში ევროკავშირის მასშტაბით, კრიზისია ევროკავშირის ორ წამყვან ქვეყანაში – საფრანგეთში და გერმანიაში. ჯერ მაკრონის, შემდეგ შოლცის მთავრობებს გამოუცხადეს უნდობლობა შესაბამისი ქვეყნების პარლამენტებმა. არის ქვეყნები, სადაც ძალიან მყიფე კოალიციებია შექმნილი, სადაც გამარჯვებული პარტიები ვერ ახერხებენ მთავრობის ფორმირებას, არის უმძიმესი მდგომარეობა უკრაინაში და სირიაში, რაც არის ევროკავშირის პრობლემაც და არის ეკონომიკური სტაგნაცია მთელი ევროკავშირის მასშტაბით, ზოგიერთ შემთხვევაში რეცესიასთან, ანუ ეკონომიკურ შემცირებასთანაც კი გვაქვს საქმე.

ასეთ დროს, როდესაც კონკრეტული ევროპელი პოლიტიკოსები და ჩინოვნიკები საქართველოს შანტაჟისთვის იცლიან და უკვე ჩავარდნილი მაიდნის მხარდაჭერას ცდილობენ, ეს არის გაუგებარი. თუმცა, გამოჩნდა, რომ ამ შანტაჟს არავითარი ძალა არ აქვს, რასაც ჩვენ მიერ 28 ნოემბერს მიღებულმა გადაწყვეტილებამაც შეუწყო ხელი. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ 20 იანვრიდან საბოლოოდ დასრულდება შანტაჟის ეს პრაქტიკა, კონკრეტული ევროპელი პოლიტიკოსების და ჩინოვნიკების მხრიდან, დასრულდება ხელისუფლებაში კოლექტიური „ნაცმოძრაობის“ დაბრუნების მცდელობა. ეს მცდელობა და შანტაჟი გრძელდება სამი წლის განმავლობაში და ეს შანტაჟი და ,,ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნების მცდელობა სამი წლის თავზე აუცილებლად უნდა დასრულდეს. ეს არის მნიშვნელოვანი მათ შორის იმისათვის, რომ აღდგეს ქართული საზოგადოების თვალში დაკარგული ნდობა ევროპული სტრუქტურების მიმართ...

## ეს იყო ერთგვარი აფერა, რაც 16 დეკემბრის მინისტერიალზე ვიხილეთ!

– **ჩვენი** ოპონენტები, რომლებიც არაერთხელ ილაშქრებდნენ საკუთარი სამშობლოს და ქართველი ხალხის წინააღმდეგ, როგორც გვახსოვს ლობირებდნენ ვიზალიბერალიზაციის შეჩერებას და აქ მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ის, რომ ვიზალიბერალიზაცია არის სხვა და დღევანდელი გადაწყვეტილებით, რაც არის დიპლომატიური პასპორტის მქონე პირთათვის სავიზო რეჟიმის შეზღუდვა ეს არის სხვა გადაწყვეტილება. ამას ორი სამართლებრივად განსხვავებული პროცედურა და განსხვავებული ინსტიტუციური დატვირთვა აქვს, ვინაიდან მოგეხსენებათ, საქართველოს სახელმწიფომ ვიზალიბერალიზაციამდე პირველი ხელშეკრულება, რაც ვიზებთან დაკავშირებით გააკეთა, ეს იყო დიპლომატიური პასპორტის მქონე პირთათვის სავიზო პროცედურების გამარტივება, უვიზო მიმოსვლა და გაცილებით ადრე იყო ეს პროცედურები. შემდგომ ამას მოჰყვა ვიზალიბერალიზაცია. ამიტომ ეს ორი სხვადასხვა ინსტიტუციური და სამართლებრივი პროცედურაა. ამასთან ერთად უნდა ვნახოთ, რომ რეზოლუციაში ჩანაწერი გაკეთდა პროცედურების დაწყებასთან დაკავშირებით. ევროკავშირის ნებისმიერ გადაწყვეტილებას აქვს თავისი სამართლებრივი პროცედურები და თავისი ბიუროკრატია. ეს არ არის ხუთი დღის თუ ორი თვის საქმე, ამას მოჰყვება თავისი სამართლებრივი პროცედურები, სადაც წარმოდგენილი უნდა იყოს საფუძვლები, რის მიხედვითაც ხდება ამა თუ იმ გადაწყვეტილების გამოტანა, შემდგომ უნდა იმსჯელოს წევრმა სახელმწიფოებმა და კვალიფიციურმა უმრავლესობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რაც არის 14 ქვეყანა, ანუ ამ წევრი ქვეყნების მოსახლეობის 65%-ზე მეტი წარმომადგენლის გადაწყვეტილება უნდა იქნეს და ძალიან კარგად იციან გადაწყვეტილების მიმღებებმაც, რომ ეს საბოლოო ჯამში ვერ გავა დანიშნულების ადგილამდე, ვინაიდან სწორედ იმ კვალიფიციურ უმრავლესობას ვერ მოიპოვებს, რადგან არც კონკრეტული საფუძველი ექნება ამას და შესაბამისად, ესეც განიცდის ერთგვარ ფიასკოს. ამიტომ ეს გადაწყვეტილება ვერ ნახავს სინათლეს და მაშინ ჩნდება კითხვა: რას ემსახურება ეს რეზოლუცია?! – ეს არის ერთგვარი ხელოვნური სუნთქვის ჩატარება რადიკალებისათვის და განეიტრალებული და შესუსტებული მუხტის გაცოცხლების მცდელობა, თუმცა რა თქმა უნდა, როდესაც არ გაქვს საფუძველი, როდესაც არ აქვს სიმყარე ამ გადაწყვეტილებას, ყოველთვის სიმართლე იმარჯვებს და ასე იქნება ამ შემთხვევაშიც, მარცხს განიცდის. სამწუხაროა, რომ დღეს ევროკავშირში იმ გარკვეულ დაინტერესებულ ბიუროკრატებს კიდევ აქვთ მცდელობა ერთგვარი კუდის ბოლო მოქნევის. ჩვენ ვიცით, რომ ამ კვირაშიც ევროპარლამენტში გაიმართება გარკვეული მსჯელობები და სავარაუდოდ საქართველოს საკითხსაც დააყენებენ და, ასე ვთქვათ, ბოლო გაფართხალება იქნება 19-20-ის შეკრება, საბჭოს სხდომა, როდესაც კიდევ შემდგომი მოლოდინები გვექნება, თუმცა, ახალი წლის მერე, როგორც თავადაც აანონსებენ, ტრამპის ინაუგურაციის მერე რიტორიკა შეიცვლება.

**მარიამ ლაშხი**

---

## ჯეფრი საქსი:

# უკრაინა ევროპის ავღანეთად იქცა!



**„ჩემს უკრაინელ კოლეგებს ვაფრთხილებდი, არ ქცეულიყვნენ ბრძოლის ველად, რომ არ ეთამაშათ ამერიკული გეოპოლიტიკური თამაში. მე მათ სიტყვასიტყვით ვუთხარი, რომ „ისინი ევროპის ავღანეთად გადაიქცეოდნენ“ და ეს მოხდა, სამწუხაროდ“, – ამის შესახებ ლაშა კასრაძესთან ინტერვიუში პროფესორმა ჯეფრი საქსმა განაცხადა.**

ამასთან, როგორც მან აღნიშნა, საქართველოსა და რეგიონში მიმდინარე პროცესებს დიდი ყურადღებით აკვირდება.

– დიდი ყურადღებით და დარდით ვადევნებ თვალს მოვლენებს. სამხრეთ კავკასიაში რთული ვითარებაა. არა მარტო საქართველოში, სომხეთშიც რთული ვითარებაა, აზერბაიჯანშიც. მე ახლახან თქვენს სამეზობლოში, ბაქოში ვიმყოფებოდი გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ კონფერენციაზე, ვიყავი ერევანშიც. რამდენიმე წლის წინ მქონდა შესანიშნავი ვიზიტი თბილისშიც და საკუთარი თვალით ვიხილე საქართველოს სილამაზე. სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფო სტრესშია, ვინაიდან მათ გარშემო სამი დიდი მოთამაშეა – რუსეთი, თურქეთი და ირანი. შესაბამისად, ეს ძალიან რთული რეგიონია.

დარწმუნებული ვარ, რომ სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფომ უნდა ითანამშრომლოს. საქართველო უკვე ათასობით წელია, ახერხებს, რომ გადარჩეს, სომხებიც. ამ შეზღუდულ სივრცეში, სადაც ბევრი კონფლიქტია, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ღია ომია, სამივე სახელმწიფო მოწყვლადია და საერთო უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე მათ შორის თანამშრომლობა აუცილებელია.

რაც შეეხება გარშემო მდებარე სამ, გაცილებით დიდ სახელმწიფოს. მათ შორის ყველაზე ძლიერი რუსეთია, არც ირანი და თურქეთი არიან მაჩანჩალები. მიმაჩნია, რომ ამ სამ დიდ სახელმწიფოს შორის არის თანხმობა მშვიდობის შენარჩუნების აუცილებლობასთან დაკავშირებით. ეს ემსახურება ეკონომიკურ განვითარებას, ყველასათვის ცნობილი ჩრდილოეთ-სამხრეთისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფნების გათვალისწინებით. მე ძალიან ვემხრობი და იმედი მაქვს, გულუბრყვილობაში არ ჩამომერთმევა ეს მრწამსი, 3+3-ის ფორმატთან დაკავშირებით. ეს გულისხმობს სამხრეთ კავკასიის სამ სახელმწიფოსა და მათ გარშემო მდებარე სამ საერთაშორისო მასშტაბის ძალას შორის ნორმალურ, დინამიკურ დიალოგს, საერთო საინვესტიციო პროგრამებს, მდგრადი განვითარების სტრატეგიებს და წინ მიმავალ პრაქტიკულ ნაბიჯებს.

მიმაჩნია, რომ გარე ძალებს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპას, დიდი წინდახედულობა მართებთ, რათა ვითარების დესტაბილიზაცია არ გამოიწვიონ. მე ხშირად ვდარდობ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გადადგმული ნაბიჯების მიზეზით, ვინაიდან მე როგორც ამერიკელი, რამდენიმე ათწლეულია, ვადევნებ თვალს ამას და უდავოა, რომ ჩვენ გვაქვს ჩვევა, რომ ამა თუ იმ ადგილობრივი ვითარების არცთუ ისე კარგად ფლობის ფონზე, ბევრი რამე ავრიოთ, გვაქვს ჩვევა, რომ მოვიქცეთ დაუდევრად და მცირე სახელმწიფოების ბედის სრული უგულებელყოფით...

---

# ,,ჩინეთის ლიდერმა ძალიან კარგად იცის, რომ ტრამპი“ მუქარის შემსრულებელია

**ჩინეთის ლიდერი დონალდ ტრამპის შეთავაზებას არ ღებულობს. არადა, ყველა ელოდა, რომ ტრამპისგან სი ძინპინის მიწვევა საკუთარ ინაუგურაციაზე ახალი პოლიტიკის დასაწყისი გახდებოდა.**

**CBS NEWS-ის ცნობით, არაოფიციალური არხებით გადაცემულმა მიწვევამ პეკინი გააკვირვა, რადგან ჩინელი ჩინოვნიკები მიჩვეულნი არიან მკაცრ პროტოკოლს აშშ-ჩინეთის ურთიერთობაში.**

**ინფორმირებული წყაროების თანახმად, ტრამპმა მოსაწვევი ჩინეთის ლიდერს ჯერ კიდევ ნოემბრის დასაწყისში, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებიდან მალევე გაუგზავნა.**

**გავრცელებული ინფორმაციით, ინაუგურაციის ცერემონიას დაესწრება ჩინეთის ელჩი აშშ-ში, ასევე, ჩინეთის სხვა ოფიციალური პირები, მაგრამ არა სი ძინპინი.**

გაგრძელება მე-9 გვ.



# ხელისუფლების პრინციპულობა – მთავარი წყალგამყოფი ნეოლიბერალურ ფაშიზმსა და ქრისტიანულ ღირებულებებს შორის!



## „ძალიან ახლოს ვართ ახალგაზრდების მიერ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების ჩამოყალიბების პროცესთან“



„გეენა“ არის ადგილი იერუსალიმში, მინდორი ქალაქგარეთ, სადაც ადრე მოლოქის კერპი იყო აღმართული და მას ცოცხალ ადამიანებს „საკრალურ მსხვერპლად“ სწირავდნენ.

მოლოქის მსხვერპლს, უპირატესად კი ბავშვებს, ცოცხლად ხრუკავდნენ...“

**„წინ ევროპისკენ“! – ამ ლოზუნგით რუსთაველზე ორ კვირაზე მეტია რადიკალური ოპოზიციის ორგანიზებით საპროტესტო აქცია ტარდება. აქცია, რომელიც ტრადიციულად 19:00 საათზე იწყება, ფრიალებს ევროკავშირის, აშშ-ის და ლგბტქ+-ის დროშები. საჯაროდ საკუთარი ცხოვრების წესი დაადასტურა ორმა ლესბოსელმა, შემდეგ გამოჩნდნენ ჰომოსექსუალები. სწორედ, ამის შემდეგ უკვე ე.წ. ელიტამ დაიწყო მოწოდება: „სად არის საპატრიარქო და რატომ არ დგას ქართველი ერის ნების გვერდით“. ამას მოჰყვა: მაცხოვრისგამოსახულებიანი კუბოს დაწვა; თბილისის ვაკის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძრის წინამძღვართან მივარდნა; დაწვეს ეროვნული ნაკრების მაისური, რომელზეც წმინდა გიორგია გამოსახული; ღამის საათებში რუსთაველზე ატარებენ გაურკვეველი სახის რიტუალებს – ასეთია რადიკალების ორგანიზებით ჩატარებული აქციის შინაარსი, რომელსაც ზურგს უმაგრებს ის რადიკალური ოპოზიციის ლიდერები, რომლებმაც ხელი მოაწერეს „გეი მემორანდუმს“. საპროტესტო აქციის სიმბოლოდ კი რჩება ცეცხლი.**

**ანალიტიკოს დავით ზარდიაშვილის** განცხადებით, „მაიდნის“ რევოლუციურ სიმბოლოებს არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ მკაფიოდ გამოკვეთილი მეტაფიზიკური დატვირთვაც აქვს და არ არის შემთხვევითი, რომ ცეცხლი, კოცონი და განსაკუთრებით ნაგვის ურნაზე წაკიდებული ცეცხლი – „მაიდნის“ ერთ-ერთი მთავარი სურათ-ხატია.

„სიმბოლურად ეს „გეენის ცეცხლს“ გამოხატავს. მეტაფიზიკური თვალსაზრისით – „მაიდანი“ სწორედ ეს არის – გეენის ცეცხლი, რითაც „ნაგავი“ უნდა დაიწვას. გაგახსენებთ: „გეენა“ არის ადგილი იერუსალიმში, მინდორი ქალაქგარეთ, სადაც ადრე მოლოქის კერპი იყო აღმართული და მას ცოცხალ ადამიანებს „საკრალურ მსხვერპლად“ სწირავდნენ.

განსაკუთრებით შემზარავია, რომ მოლოქის მსხვერპლს, უპირატესად კი ბავშვებს, ცოცხლად ხრუკავდნენ; მოგვიანებით გეენა – იერუსალიმის ნაგავსაყრელი გახდა, სადაც ნაგავს წვავდნენ; სწორედ გეენის სიმბოლოა ნაგვის ურნის დაწვა. ასევე – „საკრალური მსხვერპლი“, რაც „მაიდნის“ კულმინაციაა, რამაც ძალადობრივი ესკალაციით კვანძი უნდა გახსნას, მეტაფიზიკური თვალსაზრისით, მოლოქის გამოხმობის და მისთვის მსხვერპლის შეწირვის რიტუალია.

გამაოგნებელია, ძალიან შემაძრწუნებელი, რომ ამ უბნელეს უსჯულოებას მხარდამჭერები ჰყავს საქართველოში. ამაზრზენია გეენის ცეცხლში მაცხოვრისგამოსახულებიანი კუბოს, რომელშიც ბიძინას ფიტული ჩაასვენეს, დაწვა. ეს მარტივი ამბავი და უბრალო ქაჯობა არ არის. არც ამ დაბნეული და ეგზალტირებული, უმწიფარი ახალგაზრდების მოფიქრებულს ჰგავს. უდიდესი ალბათობით, ეს გახლავთ ბაალისა და მოლოქის სისხლიანი კულტის, რასაც გეენის ცეცხლის დანთებით აპირებენ, „ეზოთერული“ კულტივირება საქართველოში.

უდიდეს მწვალებლობასთან – გნოსტიციზმთან, რომლის მამამთავარი ის გველია, ვინაც სამოთხეში ადამი და ევა აცდუნა, რადაც თავს მიიჩნევს დღევანდელი პოსტლიბერალური ელიტა, ამას უშუალო და პირდაპირი, მეტაფიზიკური და მკაფიოდ აქცენტირებული სიმბოლური კავშირი აქვს. ასე რომ, ნურავინ დაიბნევით! ეკრძალეენით ამათ, ყველანაირად მოერიდეთ, ვითარცა გეენის ცეცხლს! სიბილწეა ეგ, სიბილწე და საუკუნო წარწყმედა“, – წერს დავით ზარდიაშვილი.

✦ ✦ ✦

**აღსანიშნავია**, რომ რადიკალების სამიზნე არის ეკლესია და პოპულარული ხდება ლგბტქ+-ს პროპაგანდა. უნდა ეს ვინმეს თუ არა, ფაქტია, რომ დღეს რუსთაველზე ფრიალებს ლგბტქ+-ის დროშა და დემონსტრანტები ამტკიცებენ, რომ საქართველომ ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს ევროკავშირში და ამისთვის იბრძვიან რუსთაველის გამზირზე. ამ აქციის ლობისტი არის ლგბტქ+ის თემის წარმომადგენელი, გერმანიის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ როთი, რომელმაც ევროკავშირის წევრი ქვეყნის საგარეო საქმეთა კომიტეტების თავმჯდომარეებთან ერთად რუსთაველის გამზირზე შეკრებილებს მიმართა.

ამ „ეპოქალურ მოვლენას“ და „გულწრფელ ხალხს“ რუსთაველზე გასეირნებით მხარი დაუჭირეს ევროპარლამენტარებმა, რომლებიც ბიძინა ივანიშვილს და მის ხელისუფლებას მხოლოდ იმიტომ უპირისპირდებიან, რომ მათი მიზანია არა ისეთი ევროპა, რომელიც გაიძულებს, დააკანონო ერთნაირსქესიანთა ქორწინება, არ მიიღო კანონი, რომელიც მათი აგენტურის დაფინანსებას შეზღუდავს, რომელიც გაიძულებს, ომი გამოუცხადო რუ-სეთს, რომელსაც ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიების 20%. ხელისუფლების პოზიცია უცვლელია – „ღირსებით ევროპისკენ“, რაც ნიშნავს ღირსეულ ევროპას.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **დავით კუხალაშვილი** აცხადებს, რომ ყველაფერი ის, რაც საქართველოში ხდება, ეს არის გლობალურ პოლიტიკაში მიმდინარე პროცესების ანარეკლი, რომელსაც პირდაპირი ბმა აქვს იმ პროცესებთან, რაც მსოფლიოში მიმდინარეობს.

**„რაც შეეხება უშუალოდ ჯგუფებს, რომელიც თავსებადი გახდა ამ საპროტესტო აქციებისთვის - ის, რაც ლგბტ თემს სურდა, რომ დამოუკიდებლად გაეკეთებინა საქართველოში, ვერ მოხერხდა ამ პროცესებისადმი მასშტაბური ანტიგანწყობების გამო და შესაბამისად, დღევანდელი პროცესი, რაც სახეზე გვაქვს, აღმოჩნდა თავსებადი ამ თემის წარმომადგენლებისთვის. ინდივიდუალურად რომ გაესაუბრო ამ აქციის მონაწილეებს, იძახიან, რომ ევროპული მომავლისთვის იბრძვიან და ამ დროს, ამ შეკრების ორგანიზებას აკეთებენ ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც საქართველოს საწინააღმდეგო ქმედებებში არიან ჩართული, არა მარტო ახლა, არამედ მაშინაც, როდესაც იყვნენ ხელისუფლებაში.**

**ამიტომ ამ შემთხვევაში მარტო ამ თემაზე არ შევჩერდები. სამწუხაროდ, ალბათობის მაღალი ხარისხით, ჩვენ უკვე სახეზე გვაქვს სექტანტთა მონაწილეობა ამ პროცესებში. ის, რაც ჩვენ თვალწინ ხდება, ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა, ან რაიმე სიახლე, უბრალოდ, დაძაბული ოპერატიული ვითარებიდან გამომდინარე, შსს-ს და სპეცსამსახურებს ამ ეტაპზე არ აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ უფრო მაღალი დონის საფრთხეზე იმუშაონ. ფაქტია, დღის სინათლეზე გამოვიდა კიდევ უფრო დამატებითი საფრთხეები, რომელიც ქვეყანაში შენიღბული სახით იყო. ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ აქციის მონაწილეთა შორის მასშტაბურად არიან სექტანტები.**

**იქიდან გამომდინარე, რომ სამსახურებრივად მომიწია გარკვეული პერიოდი საკმაოდ მნიშვნელოვან თემებზე მუშაობა, ძალიან ბევრი მსგავსი ნიშნებია სექტანტების მოქმედებებთან დაკავშირებით. ამიტომ ვფიქრობ, რომ როგორც შსს-ს, ისე სპეცსამსახურებს მართებთ განსაკუთრებული ყურადღება. როდესაც საუბრობენ გვამებზე, როგორც აუცილებლობაზე, რეალურად, ასეთი მსხვერპლის აუცილებლობა დამახასიათებელია სექტანტური დაჯგუფებისათვის. ამიტომ ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საფრთხეა, რომელზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება“, – აცხადებს კუხალაშვილი.**

უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტი აცხადებს, რომ ჩვენ ძალიან ახლოს ვართ ახალგაზრდების მიერ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების ჩამოყალიბების პროცესთან, რომელიც ყალიბდება პოლიტიკური პარტიების ფრთის ქვეშ.

„მართალია, ჯერჯერობით ეს არის შეიარაღების გარეშე მყოფი ფორმირებები, მაგრამ ნებისმიერ დაინტერესებულ უცხო სახელმწიფოს, თუ კრიმინალურ დაჯგუფებას ყოველთვის აქვს შესაძლებლობა, რომ გარკვეული აღჭურვითი ღონისძიებების შედეგად, ეს მასა აქციონ პოლიტიკური დესტაბილიზაციის მნიშვნელოვან საფუძვლად. მთელი ისტორიის განმავალობაში ჩვენ ყოველთვის გვქონდა უმძიმესი პროცესები და ჩვენ ყოველთვის ვახერხებდით გამოსვლას ამ მდგომარეობიდან.

**სამწუხაროდ, არის საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის გამოსწორება ვერ და არ მოხერხდება, მაგრამ არის საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის ამ პროცესებში მონაწილე, რომელსაც აქვთ ძალიან დიდი შესაძლებლობა,**

რომ სახელმწიფოს სარგებელი მოუტანონ. ერთადერთ გამოსავალს იმაში ვხედავ, რომ კანონიერ ჩარჩოებში მოხდეს სამართლებრივი რეაგირება. სახელმწიფო რაც უფრო გადასწევს სამართლებრივ რეაგირებას ამ პროცესების ორგანიზატორი პირების მიმართ, მით უფრო აიწევს დესტაბილიზაციის საფრთხე.

✦ ✦ ✦

**უფლებადამცველის დიმიტრი ლორთქიფანიძის** განცხადებით, ევროკავშირის ბოლო რეზოლუციის მიხედვით, საქართველოს გადაეცა ულტიმატუმი, მოლაპარაკებების პროცესის გასახსნელად შეასრულოს სამი დავალება: 1 – ცნოს 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგები ფალსიფიცირებულად. 2 – გაიწვიოს უკვე მიღებული და კანონიერ ძალაში შესული „გამჭვირვალობისა“ და ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ მიმართული ნორმატიული აქტები. 3 – გაათავისუფლოს პატიმრობიდან მიხეილ სააკაშვილი.

მისი თქმით, სწორედ ამ უტოპიური რეკომენდაციების აღსრულების მოთხოვნები შეაფასა პრემიერმა ირაკლი კობახიძემ სპეკულაციურად და 28 ნოემბერს განახორციელა უპრინციპულესი და უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური აქტი, რომლითაც ევროკავშირთან ინტეგრაციის მოლაპარაკების პროცესი გადადო 2028 წლამდე, ვინაიდან ცნობილი ფაქტია, რომ ევროკავშირი ისედაც არ აპირებს, გაფართოვდეს 2030 წლამდე.

**„აღნიშნული პოლიტიკური აქტი, რომელსაც გეოპოლიტიკური განზომილებაც გააჩნია, საქართველოს მტრების მიერ გამოყენებული იქნა საბაბად, დაეწყოთ მასობრივი საპროტესტო აქციები, თითქოს ქვეყანამ შეიცვალა კურსი! თუ კიდევ უფრო გავამარტივებთ მოცემულობას, დავინახავთ, რომ ევროკავშირის ულტიმატუმი, გავაუქმოთ უკვე მიღებული კანონმდებლობა, სხვა არაფერია, თუ არა გეი-რევოლუციის მცდელობა ქვეყანაში, სწორედ ამ მოთხოვნამდე დაიყვანა რასა იუკნევიჩიანემ და ევროპარლამენტიდან მოვლენილმა დეპუტატთა ჯგუფმა ევროკავშირის პოზიცია! – არ იღებს საქართველო ულტიმატუმს? – მიიღებს გეი-რევოლუციას!**

შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ამ მოწოდების შემცველი ინგლისურენოვანი პლაკატები ააფრიალეს გუშინ აქტივისტებმა რუსთაველზე! რა მოჰყვება ამ ყოველივეს? ჩვენ კარგად ვხედავთ, რომ მისი უდიდებულესობა სიღრმისეული ქართველი ერი ჯერ არ გამოსულა ქუჩაში აქციებზე მოთხოვნით – დაიცვას ხელისუფლებამ საპარლამენტო დემოკრატიის მონაპოვარი სახალხო დაკვეთა: ააგოს მთავარი წყალგამყოფი ნეოლიბერალურ ფაშიზმსა და ორიათასწლოვანი ქრისტიანული კულტურის მატარებელი ერის კონსერვატული საზოგადოების იდეას შორის. არ დაიხიოს უკან და არ წავიდეს ზნეობრივ კომპრომისზე. ეს არის სწორედ იმ ხალხის მოთხოვნა, რომლებიც ჩვენ ვიხილეთ 17 მაისს საქართველოს ყველა დიდ ქალაქსა თუ დაბაში გამოსული“, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას დიმიტრი ლორთქიფანიძე.

**თამთა ქარჩავა**

# მე ვარ სატანა და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის!..

## ფერადი რევოლუცია ბოროტების სინონიმია!



**ახლოს მოდექით, ჯადოქრის შვილებო, მემრუშეთა და მეძავთა თესლო! ვის ამასხარავებთ, ვის წინააღმდეგ მოგიღიავებიათ პირი? ვისთვის გამოგიყვიათ ენა? განა ცოდვის შვილები არა ხართ თქვენ, სიცრუის თესლი? ყოველი ხის ქვეშ გარყვნილებას რომ ეძლევით თქვენი კერპების სადიდებლად**

**დოსტოევსკის მოყვარულებს ალბათ კარგად ახსოვთ, თუ ივანე კარამაზოვთან შუა ხნის მამაკაცის სახით მოვლენილი ეშმაკი როგორ შეატრიალებს რომაელი მწერლის ტერენციუსის (ძვ. წ. 185-159წწ.) გამოთქმას: „მე ვარ ადამიანი, და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის“** („Homo sum: humani nihil a me alienum puto~) **ასეთნაირად:** „Satana sum: humani nihil a me alienum puto“!

მართლაც, თბილისის ქუჩებში გამოფენილ მოძალადე ოპოზიციას, ანუ იმავე „ნაცების“ სხვადასხვა განშტოებებს სწორედ სატანა ახალისებს თავისი გამოთქმით: „არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის“! სწორედ სატანის გახელება და ჟინი ვლინდება ბრბოს



**არანაირად არ მსურს ეს ფერადი რევოლუცია, რომელიც ბოროტების სინონიმია, რომელიც ჩემს სამშობლოს დაამცირებს...**

სისასტიკეში, რომელიც პოლიციელებს იწვევს, მათაც „ჯალათებად“ აქცევს...

დედა გეტირება, ქართველო, თუ ევროკავშირისა და უკრაინული დროშების მოფრიალე ეს სატანისტები ხელისუფლებაში მოვლენ! ტრიალებს ქუჩებში გიჟური ტემპით ფერენც ლისტის „მეფისტოს ვალსი“.

როდესაც ხანში შესულ ლისტს სთხოვეს, შეესრულებინა ეს მეფისტოფელის ვალსი, მან უარი განაცხადა – უკვე სასულიერო წოდებას ვეკუთვნიო.

რომის იმპერატორ დომიციანის (გარდაიცვალა ახ. წ. 96 წელს) დროს ქრისტიანებს სიკვდილით სჯიდნენ, როგორც „ათეისტებს“ – ესე იგი, რომაელების მრავალღმერთიანობის გადმოსახედიდან ქრისტიანები ათეისტებად იყვნენ მიჩნეულნი. სწორედ იგივე ხდება დღეს, როდესაც ლიბერასტები თავიანთი მრავალღმერთიანობის გამო (ამ ღმერთების სახელებია: თავისუფალი სექსუალური „სიყვარული“, ნარკოტიკების თავისუფალი მოხმარება, გლობალიზმი, ანტისახელმწიფოებრიობა, ანტიეკლესიურობა, ტრადიციული ოჯახების უარყოფა) ქრისტიანებს მიიჩნევენ დიდ საშიშროებად და სიამოვნებით სიკვდილითაც დასჯიდნენ მათ, მაგრამ საქმე აქამდე ჯერ არ არის მისული. მათზე ამბობს ესაია წინასწარმეტყველი (თ. 57, 3-5): „ახლოს მოდექით, ჯადოქრის შვილებო, მემრუშეთა და მეძავთა თესლო! ვის ამასხარავებთ, ვის წინააღმდეგ მოგიღიავებიათ პირი? ვისთვის გამოგიყვიათ ენა? განა ცოდვის შვილები არა ხართ თქვენ, სიცრუის თესლი? ყოველი ხის ქვეშ გარყვნილებას რომ ეძლევით თქვენი კერპების სადიდებლად“.

არსებობს ასეთი ლათინური ტერმინი – **emanatio**, რაც გამოდინებას, გამოსხივებას ნიშნავს. ეს ცნება განსაკუთრებით დიდ დატვირთვას ღებულობდა ნეოპლატონიზმსა და გნოსტიკურ მოძღვრებაში, როდესაც ყველა საგნის გამომდინარებას განიხილავდნენ უცვლელი, სრულყოფილი, ღვთაებრივი ერთიდან. ქრისტიანული კრეაციონიზმი, ანუ სამყაროს, ყოველივეს არაფრისგან შექმნა არ უპირისპირდებოდა ამ ცნებას. ახლა მომიტევონ ფილოსოფოსებმა და ღვთისმეტყველებმა, თუ ამ ტერმინს გამოვიყენებ საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში.

**წარმოვიდგინოთ ქართველი ერი ეროვნულობაზე მაღლა მყოფ, ზეეროვნულ ორგანიზმად; საკითხავია, მისი ემანაციიდან, გამოსხივებიდან რა საგნები გამომდინარეობენ? მიუხედავად ისტორიული ქარტეხილებისა და ბოროტების მძლავრობისა, შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ერის ამ ზეეროვნულ სულიერ ორგანიზმში მტკიცედ არის გამჯდარი ღვთის ნება და მისდამი მორჩილება. მაშინ, საკითხავია, რატომ არ გვშორდება ბოროტება და რატომ ვერ ვიცილებთ მას? რატომ გამოედინება მისგან ასეთი ბოროტება? ეს ბოროტების ძალის დიდი იდუმალებაა.**

პავლე მოციქული ამბობს: „კეთილის ქმნა მსურს, მაგრამ ბოროტს ვაკეთებ. მსურს სიკეთე, მაგრამ მაინც ბოროტის ტყვე ვარ. ამრიგად მე, ერთი და იგივე კაცი, გონებით ღმრთის რჯულს ვმონებ, ხორცით კი ცოდვის რჯულს“ (რომაელთა მიმართ, 21-25).

დავეშვათ თბილისის ქუჩებში, სადაც ბოროტება ტრიალებს, რომლის ქვემოთ უკვე ალბათ ორკუსია. ინტერნეტში ჩემი ყურადღება მიიპყრო ჰამლეტ ჭიპაშვილის წერილმა სახელწოდებით „ავის მომასწავებელი დეკემბერი“, რომელიც დათარიღებულია 2024 წლის 4 დეკემბრით. ჰამლეტ ჭიპაშვილი ძალზე გამორჩეული პოლიტიკოსია და სხვა პოლიტიკოსების უმრავლესობისგან განსხვავებით, ფრიად განათლებული. და აი, რას წერს იგი – „ქვეყანაში ისევ „ფერადი რევოლუციის“ სურნელი ტრიალებს“.

არანაირად არ მსურს ეს „ფერადი რევოლუცია“, რომელიც ბოროტების სინონიმია, რომელიც ჩემს სამშობლოს დაამცირებს, რომელიც სათავეში მოიყვანს მღვრიე სისხლის მქონე და უკრაინისა და ევროკავშირის დროშების მოტრფიალე ხელისუფლებას, კვლავ რუსეთთან ომის მოსურნე ავისმქმნელებს.

დღეს სატანური ჟინით შეპყრობილი ოპოზიციის გამოსვლები ისევ გრძელდება. ნუთუ ჰამლეტ ჭიპაშვილისა არ იყოს, ავად დამთავრდება ეს დეკემბერი?!



**ვიქტორ რცხილაძე**
(14.12.2024).

**P.S. არაფერი საერთო არ მაქვს “ოცნების“ პარტიასთან, არასოდეს ერთი თეთრი არ მიმიღია ბ. ივანიშვილისაგან. ე. წ. „ნაცების“ აქტივისტებისგან განსხვავებით, რომლებმაც შიშველი უკანალი მიუშვირეს „სამხრეთ ოსეთის“ საზღვართან რუსებს, ორჯერ გამოვიარე რუსული ციხეები და გადასახლებები (1964 და 1978 წლებში), როდესაც, ჩემი ჭკუით, რუსეთს ვებრძოდი!..**

# ღმერთი სამობით არის!..

**ერთი საუკუნის წინათ ვაჟა-ფშაველა გვმოძღვრავდა: „პრეზიდენტობა საქვეყნო საქმეა და საქვეყნო საქმის მმართველად ვინ გინდა არ გამოდგება. იმას ქვეყანა სთხოვს თანხას გონებრივს და ზნეობრივს. თუ ერთ-ერთი ამათგანი აკლია, მაშინ უნდა თავისთვის იჯდეს საკუთარს კერაზე და არ ეჩხირებოდეს საქვეყნო საქმეში.“**

სამწუხაროდ, ჩვენს პრეზიდენტებს – სააკაშვილს, მარგველაშვილს და ზურაბიშვილს არ აღმოაჩნდათ გონებრივი და ზნეობრივი „თანხა“ პრეზიდენტობისათვის. სააკაშვილმა დაანგრია ქვეყანა, ეროვნული ცნობიერება. იგი და მისი გარემოცვა აღმოჩნდა ქართული ცნობიერებისათვის სრულიად უცხო მოვლენა.

მარგველაშვილსა და ზურაბიშვილს კიდევ, იმის მაგივრად, რომ ხელისუფლებასთან ეთანამშრომლათ, ისინი ოპოზიციაში გადაბარგდნენ და ქვეყანას ბევრი სატკივარი მიაყენეს.

ერთხელ გახარებულმა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა საჯაროდ მთელ ქვეყანას ამცნო ტელევიზიით, მდიდარი სექსი მაქვსო, რასაც სააკაშვილიც არ იკადრებდა. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი დემოკრიტე ამბობდა: სქესობრივი ცხოვრება ხანმოკლე გაბრუებააო. ჩვენს პრეზიდენტს აშკარად ეტყობოდა, რომ მუდამ გაბრუებული იყო. ასეთ ყოფაში მყოფ მარგველაშვილს ერჩივნა, „საკუთარს კერაზე“ მისთვის საყვარელ ხელობას – ქსოვას დაბრუნებოდა.

რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობას, ეს სრული ნონსენსია, საერთოდ გაუგებრობაა. მდიდარ ქართულ ენაში არ დარჩა სალანძღავი და საგინებელი სიტყვა, მის მიმართ რომ არ გაჟღერებულიყო. თავი გარეთ გამოსაყოფი არ აქვს, მიუხედავად ამისა, რუსთაველის პროსპექტზე სეირნობს. დამხმარე არტილერია – ძმაც ჩამოუვიდა საფრანგეთიდან, რომლის ბჟუტური აქციების შესახებ აბსოლუტურად გაუგებარია. ერთი რამ კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას: საქართველოს მდიდარი ისტორია არ იცნობს ისეთ მოღალატეს, ურცხვს, აგენტს, ყოველგვარ სისაძაგლეზე ხელისმომწერ ქალს, როგორიც სალომე ზურაბიშვილია. ახლა კი, პრეზიდენტო, მოუსვი ბაყაყური, თავიდან მოგვშორდი, სანამ ჯერ კიდევ დროა და იძულებულს ნუ გაგვხდი, სხვა, არც თუ მისაღები საშუალებები გამოვიყენოთ.

ვის არ მოსწონს ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმა, ღმერთი სამობით არისო. დიდი იმედი გვაქვს, რომ სააკაშვილის, მარგველაშვილისა და ზურაბიშვილის შემდეგ ახალი, მეოთხე პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი გადაფარავს ქვეყნის სიყვარულით, ეროვნული საქმეების კეთებით, კეთილშობილებით, რაინდობით წინა სამი პრეზიდენტის სამარცხვინო საქმეებს.

**ანზორ თოთაძე,**
პროფესორი, დემოგრაფი




## გოგა ხაინდრავა:

# ეს ევროკავშირის აბსოლუტური კრახია!

**– ბოლო ხანებში ძალიან საინტერესო მოვლენების მოწმენი ვართ, რომლებიც საქართველოში, და განსაკუთრებით ევროკავშირში, ხდება, რომლებითაც სრულდება მსოფლიო პორნოლიბერალიზმის ერა, – განაცხადა 17 დეკემბერს, წმ. ბარბარეს ხსენების დღეს, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციაში გამართულ ბრიფინგზე ცნობილმა კინორეჟისორმა და პოლიტოლოგმა გოგა ხაინდრავამ.**

ორი დღის წინათ ევროკავშირმა გამოაქვეყნა ამ ორგანიზაციის მიერ საქართველოს დასანქცირებულ მოქალაქეთა სია, რომელთაგან ერთ-ერთი გიორგი ხაინდრავაც(!) გახლავთ!

ამასთან დაკავშირებით გ. ხაინდრავას დაებადა კითხვა: რატომ მოხვდა ამ სიაში კაცი, რომელიც არც ხელისუფლების წარმომადგენელია, არც პოლიტიკურ აქციებში მონაწილე, არც საპარლამენტო წინასაარჩევნო პერიოდში ყოფილა რაიმე საქმიანობაში ჩართული.

„მე ვცხოვრობ ჩემი პირადი ცხოვრებით და არანაირი პოლიტიკური კავშირი არც ერთ პოლიტიკურ ჯგუფთან არა მაქვს. მას შემდეგ, რაც საქართველოში საპროტესტო აქციები დაიწყო, გამუდმებით გვესმის ორი პოსტულატი: ერთია, რომ საქართველოს ხელისუფლება მშვიდობიანი მიმიტინგეების წინააღმდეგ მიმართავს ძალადობას და მეორე – ქვეყანაში იზღუდება თავისუფალი აზრის გამოხატვის უფლება.

მე კი კითხვები მაქვს ევროკავშირის წევრ ლიეტუვისა და სხვათა ქვეყნების წარმომადგენლებთან: მაშ, მე რატომ მეკრძალება საკუთარი აზრის გამოხატვა და რა არის ჩემი დასანქცირება, თუ არა აპარტეიდი? ანდა, ბოლო დღეების ქრონიკას თუ გავიხსენებთ, მას შემდეგ, რაც პროტესტის გამომხატველ მოქალაქეებს აგრესიულ პირთა, მოძალადეთა ჯგუფი გამოაკლდა, საპროტესტო აქციაზე არც ერთი პოლიციელი არ ყოფილა, რადგან, ცალკეული ექსცესების გარდა, პროტესტმა ნამდვილად მშვიდობიანი სახე მიიღო.

მაგრამ ევროკავშირის ოფიციოზი კიდევ უფრო შორს წავიდა, რასთანაც დაკავშირებით ლიეტუვის პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრს განცხადებით მივმართე:

**„...ლიეტუვის ხელისუფლებამ სანქციები დაუწესა ადამიანს იმ მიზეზით, რომ ის არის მშობელი. თქვენ დაასანქცირეთ საქართველოს მოქალაქე გიორგი კობახიძე მხოლოდ იმის გამო, რომ ის არის ირაკლი კობახიძის მამა.**

**...შემდეგი მოსალოდნელი ნაბიჯი თქვენი მხრიდან, შეიძლება ვივარაუდოთ, ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში შეტანაა, რათა საქართველოს მოქალაქე მამაკაცებს აეკრძალოთ შვილების ყოლა, ვინძლო არ მოხდეს მათ მიერ პოტენციური პრემიერ-მინისტრის ჩასახვა.**

**რაც შეეხება თქვენი მონა-მორჩილის სანქცირების პროცესს, თუ თქვენ გადაწყვეტთ ჩემი მშობელი მამის დასანქცირებას ჩემი გაჩენისთვის, აუცილებლად შესაბამის ბრძანებაში მიუთითეთ: სანქცირებულია „ПОСМЕРТНО, ვინაიდან მამა ჩემი გარდაცვლილია!“**

ამ განცხადების ასლები ოფიციალური არხებით გაეგზავნება როგორც ლიეტუვის, ასევე, ევროკავშირის ხელმძღვანელობას, გაეროს ადამიანის უფლებათა ოფისს, „ემნისთი ინტერნეიშნლ“-ს, ადამიანის უფლებათა დამცველ სხვა ორგანიზაციებს, სადაც დასმული იქნება კითხვა, თუ რა მიზეზით დაასანქცირეს გიორგი კობახიძე“.

გოგა ხაინდრავას თქმით, ევროკავშირის აბსოლუტური კრახია, როცა ასეთ განცხადებას აკეთებს მისი წევრი ლიეტუვა, რომელიც ერთი-ერთში იმეორებს უკრაინისას, მაგრამ ამ უკანასკნელისგან გასაკვირი არაფერია, რადგან მას ქვეყნის სახე აქვს დაკარგული, მას შემდეგ, რაც სათავეში ბოროტი მასხარა ჩაუყენეს. ამდენად, ასეთი სახით ევროკავშირს, როგორც ორგანიზაციას, არსებობის დიდი ხანი არ უწერია, როგორც ამის შესახებ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ განაცხადა.

„რაც შეეხება, კერძოდ, ევროკავშირის სანქციებს, მათ შესახებ ჩვენ გველაპარაკა ესტონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი კაია კალასი, რომლის მეუღლეს რუსეთში 200-მილიონიანი ბიზნესი აქვს, რომლის შესახებ ამ ქალბატონმა თავის დროზე განაცხადა, რომ ქმრის საქმიანობის შესახებ არაფერი იცის(?!)“. გოგა ხაინდრავას თქმით, განა როგორ შეიძლება ევროკავშირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის ხელმძღვანელი იყოს პირი, რომელმაც არ იცის, თუ რა ხდება მისსავე ოჯახში?! ასეთივე ვითარებაა ლიეტუვასთან მიმართებაში, რომელსაც უდიდესი ვაჭრობა აქვს რუსეთთან, რომლის ერთ-ერთი წამყვანი სფეროა ალკოჰოლით ვაჭრობა(?!!) მეტიც: ლიეტუვა, სადაც ერთი ვაზის ძირიც არ არის, რუსეთში საქართველოზე გაცილებით მეტ ღვინოს ყიდის!!!

იმავეს თქმა შეიძლება ევროკავშირის სხვა ქვეყნების შესახებაც, რომელიც აწ განსვენებულ სსრ კავშირზე გაცილებით უარეს ურჩხულად ჩამოყალიბდა!

„მინდა, ვუთხრა ჩვენს თანამემამულეებს, რომ ჩვენმა ქვეყანამ პოლიტიკური დიდგორი მოიგო ამერიკაში – ბაიდენის ადმინისტრაციასთან, ევროპაში – ევროკავშირთან და თავად საქართველოშიც, იმიტომ, რომ იმ ღვთისმგმობელ ბნელ ძალას გამარჯვების ერთი შანსიც კი არა აქვს!“ – დასძინა გოგა ხაინდრავამ.

**ოთარ ტურაბელიძე**

## ანრი ოხანაშვილი:

# საქართველოს ხელისუფლებამ სტრასბურგში მორიგი გამარჯვება მოიპოვა!

**საქართველოს ხელისუფლებამ სტრასბურგის სასამართლოში მორიგი გამარჯვება მოიპოვა, რომლითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, – განაცხადა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ანრი ოხანაშვილმა სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე.**



**„აღნიშნულ საქმეზე მომჩივანი ფიზიკური პირების პრეტენზია შეეხებოდა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე საკუთრებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სტრასბურგის სასამართლომ დღევანდელი გადაწყვეტილებით, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევებზე სრული პასუხისმგებლობა რუსეთს ეკისრება, ვინაიდან რუსეთი მის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ეფექტურ კონტროლს დღემდე ახორციელებს. სტრასბურგის სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად აფხაზეთი არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი, თუმცა 1990-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს ხელისუფლება მასზე ვერ ახორციელებს ეფექტურ კონტროლს რუსეთის მხრიდან სამხედრო ეკონომიკური და პოლიტიკური ჩარევის გამო.**

**ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს მხრიდან ეფექტური კონტროლის განხორციელების შეუძლებლობის მიუხედავად, სტრასბურგის სასამართლომ ხაზგასმით მიუთითა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გაატარა ყველა შესაძლებელი და გონივრული ღონისძიება აფხაზეთში პირთა საკუთრების უფლების დასაცავად. ევროპის სასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილებით, კიდევ ერთხელ დადასტურდა 2012 წლიდან მოყოლებული საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოებული გონივრული და მშვიდობიანი დეოკუპაციის მართებულობა.**

**ვულოცავ ჩვენს საზოგადოებას ოკუპაციის წინააღმდეგ ამ მორიგ სახელმწიფოებრივ გამარჯვებას. აქვე მსურს, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობას ვუხდი იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებს სახელმწიფო ინტერესების დაცვაში შეტანილი წვლილისთვის“,** – აღნიშნა ანრი ოხანაშვილმა.

# ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე შალენბერგი: სანქციები ნიშნავს დიალოგის და დიპლომატიის დასრულებას — უნდა ჩავერთოთ დიალოგში, უნდა ვისაუბროთ!

**– საქართველო არის ქვეყანა, რომლის ევროპულ გზას მხარს ვუჭერთ. ვიცით, რომ ქართველი ხალხის უმრავლესობას ეს გზა სურს. ასე რომ, ჩვენი მხრიდან ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ არ წავიდეთ ძალიან შორს და დავამსხვრიოთ ის, რაც შემდეგ კვლავ უნდა გამოვასწოროთ. ამასთან, ის ძალადობა, რასაც მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ვხედავთ, უბრალოდ მიუღებელია. მიმაჩნია, რომ სიგნალი აუცილებელია და დღეს განვხილავთ ვიზალიბერალიზაციის გაუქმებას დიპლომატებისთვის და შესაძლოა მიზანმიმართულ სანქციებს და მიმაჩნია, რომ ეს არის გზა, რომელსაც შეიძლება გავყვეთ. მეორე არის ის, რომ: მოდით, ნუ დავუხურავთ კარს საქართველოს, ქართველი ხალხი სხვა რამეს იმსახურებს“!**



✦ ✦ ✦

„სანქციები ნიშნავს დიალოგის არარსებობას, დიალოგის და დიპლომატიის დასრულებას. უნდა ჩავერთოთ დიალოგში, უნდა ვისაუბროთ, დავარწმუნოთ, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ სხვა ბერკეტებიც. სანქციები არის დიპლომატიური ანბანის დასასრული და სხვა ზომები მირჩევნია“!

# ირაკლი კობახიძე და ლევან დავითაშვილი ქვესადგურ „წყალტუბო 500“-ის მნიშვნელობას აფასებენ

**საქართველოს ენერგეტიკულ სისტემას კიდევ ერთი ახალი ობიექტი შეემატა – „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ ქვესადგურის „წყალტუბო 500“-ის მშენებლობა დაასრულა. პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან ერთად მიიღო მონაწილეობა ქვეყნის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარებისთვის ამ მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობის დასრულების ღონისძიებაში.**

„როდესაც ვამბობთ, რომ ვაშენებთ დამოუკიდებელ, ღირსეულ, ევროპულ სახელმწიფოს, რომელმაც თავისი ადგილი უნდა დაიმკვიდროს საერთაშორისო თანამეგობრობაში, ბევრ პრიორიტეტულ მიმართულებასთან ერთად ვგულისხმობთ მისი ენერგეტიკული პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებასაც, რადგან საქართველოს ნამდვილად გააჩნია რესურსები, რომ სწორი პოლიტიკით და ჩვენი საზოგადოების თანადგომით არამხოლოდ შექმნას ქვეყნის შიდა მოხმარებისთვის საჭირო ენერგეტიკული სიმძლავრეები, არამედ გახდეს სხვა ქვეყნების, მათ შორის, ევროპის სახელმწიფოების საიმედო პარტნიორი ენერგეტიკული თანამშრომლობის კუთხითაც“, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

საქართველოს ხელისუფლებას აქვს ამბიციური გეგმა – 2030 წლისთვის არამხოლოდ გააორმაგოს, არამედ 10,000 მგვტ-მდე გაზარდოს ქვეყნის დადგმული სიმძლავრე, რაც



სრულად უზრუნველყოფს ეკონომიკის ზრდის მაღალ ტემპებს, ასევე განავითარებს ახალ, ენერგოტევად დარგებს.

„წყალტუბო 500“-ის პროექტი მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, „ენერგომომარაგების საიმედოობისა და ფინანსური გაჯანსაღების პროექტის“ ფარგლებში განხორციელდა. პროექტს ზედამხედველობდა უცხოური კომპანიების ერთობლივი საწარმო **Decon International GmbH**, საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები კი თურქულმა კომპანია **BEST**-მა განახორციელა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოში თურქეთის ელჩმა ალი ქაან ორბაიმ, ენერგოკომპანიების ხელმძღვანელებმა და მაღალი რანგის სხვა სტუმრებმა.

ქვესადგურის მშენებლობისას დასაქმებული იყო 350-მდე ადამიანი. სამშენებლო სამუშაოები 2022 წელს დაიწყო და 2024 წელს დასრულდა, პროექტის ღირებულებამ 19.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ქვესადგურის ამოქმედებით მნიშვნელოვნად გაძლიერდება მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელი და შესაძლებელი გახდება ელექტროენერგიაზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქვეყნის ელექტროენერგიის საექსპორტო და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება.

ამასთან, ლევან დავითაშვილის ინფორმაციით, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ უკვე ახორციელებს პროექტს, რომელიც 80 კილომეტრამდე სიგრძის 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას გულისხმობს – ის წყალტუბოს და ჯვრის 500 კვ ქვესადგურებს ერთმანეთთან დააკავშირებს.

# სიტყვის განძი მერაბ ელიოზიშვილისგან

## ცნობილი მწერლის, დრამატურგისა და მოძღვრის საიუბილეოდ!



ᲠᲝᲒᲝᲠᲪ გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკიდან" ახლახან ვიუწყებოდით, მიმდინარე წლის მიწურულს (18 დეკემბერს), გულქართლ მწერალს, დრამატურგსა და მოძღვარს მერაბ ელიოზიშვილს დაბადებიდან 90 წელი უსრულდება. 12 მარტს კი მწერალთა სახლში უკვდავება, ცხინვალელი მწერლის საიუბილეო თარიღის ღირსეულად აღსანიშნავად შეხვედრა გაიმართა. ღონისძიების მონაწილეებს მიესალმა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი, რომელმაც ხაზგასმით განაცხადა, რომ ცნობილი შემოქმედის დაბადებიდან ცხრა ათეული წლისთავი შესანატრი მონდომებით ჩატარდება.

**ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲐ ᲓᲐ 2024 ᲬᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲬᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲓᲐ.** საიუბილეო დღეებში მართლაცდა ჩინებული საჩუქარი მიიღო ჟამიანობით დაზაფრული სამაჩაბლოს (და არა მარტო) მადლიერმა მკითხველმა. **დღის სინათლეზე გაიბრწყინა სასიქადულო მამულიშვილის ორტომეულმა – „პიესები და კინოსცენარები."**




ორივე წიგნი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით გამომცემლობა „თამარიონი 2002"-ში დაიბეჭდა. როგორც ორტომეულის გარეკანზე ვკითხულობთ: „მერაბ ელიოზიშვილი – მწერალი, დრამატურგი, სცენარისტი, პუბლიცისტი – დაიბადა შიდა ქართლში დიდი ლიახვის ხეობაში, ქალაქ ცხინვალში, 1934 წლის 18 დეკემბერს, საგვარეულო ადგილმამულში, – მისგან შემორჩენილ საწალკოტეში, – დგვრისში.

წარჩინებით დაამთავრა დიდი მამულიშვილის ვახტანგ კასრაძის პირველი ქართული საშუალო სკოლა.

წარჩინებით დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი.

მისი მოთხრობები იბეჭდებოდა ჟურნალ ,,ცისკარში," გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" 1957 წლიდან.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრია 1960 წლიდან.

**საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი – 1960 წლიდან.**

**საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დიაკონი (ელიოზი) – 1994 წლიდან.**

**აღესრულა 2012 წლის 4 იანვარს, მწუხრის ჟამს; სამშობლოს, ოჯახის, დედაღვთისმშობლის, მოყვასის ერთგულება-სიყვარულში უღალატოს – არ განელებია უკეთესის რწმენა-მოლოდინის დვრიტა...**

ქართული მწერლობის კუთვნილებაა მერაბ ელიოზიშვილი:

### ᲞᲘᲔᲡᲔᲑᲘ

**„ბებერი მეზურნეები,"** რომელიც 1967-1975 წლებში დაიდგა შ. რუსთაველის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში – რეჟისორი არჩილ ჩხარტიშვილი;

1967 წ. „ბებერი მეზურნეები" დაიდგა გორის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში –- რეჟისორი ლილი იოსელიანი;

1975 წელს –ერევნის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. რეჟისორი დიმიტრი ალექსიძე.

**„ᲓᲐᲗᲕᲔᲑᲘ"**

დაიდგა 1968 წელს გორის სახელმწიფო თეატრში – რეჟისორი ლილი იოსელიანი.

**„ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ"**

დაიდგა 1970 წელს ცხინვალის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. რეჟისორი უშანგი მინდიაშვილი.

**,,ᲒᲔᲠᲘᲙᲝᲜᲘ"**

დაიდგა 1975 წელს მარჯანიშვილის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. რეჟისორი ლევან მირცხულავა;

1983 წელს თელავის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. რეჟისორი ლაშა კოტრიკაძე;

1984 წელს ცხინვალის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. რეჟისორი ლაშა კოტრიკაძე;

1965 წელს ბათუმის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

**„ᲡᲐᲠᲙᲔ"**

დაიდგა 1983-1990 წელს ცხინვალის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. რეჟისორი დავით ელიოზიშვილი.

**„ᲣᲖᲣᲜᲓᲐᲠᲐ"**

დაიდგა 1991 წელს გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში /ქართულ დასში/ – რეჟისორი ვარლამ ნიკოლაძე.

### ᲙᲘᲜᲝᲡᲪᲔᲜᲐᲠᲔᲑᲘ

1963 წ. **„თეთრი ქარავანი"** – რეჟისორები თამაზ მელიავა; ესლდარ შენგელაია;

1968 წ. **„დიდი მწვანე ველი"** – მერაბ კოკოჩაშვილი;

1969 წ. **„დიდედები და შვილიშვილები"** – რეჟისორი ნანა მჭედლიძე:

1974 წ. სატელევიზიო ფილმი **„ბებერი მეზურნეები"** – ვალერიან კვაჭაძე;

1977 წ. **„დაბრუნება"** – რეჟისორი რამაზ შარაბიძე;

1980 წ. **„იავნანამ რა ჰქმნა?!"** – (კინოსცენარი იაკობ გოგებაშვილის მოთხრობების ინტერპრეტაციით).

ხსოვნა გვმართებს ქართული სიტყვის სახელოვანი დიდოსტატ-კალმოსანისა!

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან დევნილი ჟურნალისტების სახელით, **მადლობას მოვახსენებთ უფროსი მეგობრის – ლიახვისპირელი ერისკაცისა და მოძღვრის მერაბ ელიოზიშვილის შესანიშნავ ოჯახს, გაზეთ ,,ცხინვალის მაცნეს" რედაქციისადმი ესოდენ ძვირფასი ორტომეულის საჩუქრად გადმოცემისთვის. ეს ხომ ჩვენთვის მნიშვნელოვანი შენაძენი და შეუფასებელი რელიკვიაა!**

**ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲝᲓᲘᲙᲐᲫᲔ,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**



ᲛᲔᲠᲐᲑ ᲔᲚᲘᲝᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲤᲔᲚᲘᲥᲡ ᲡᲐᲜᲐᲙᲝᲔᲕᲘ

# ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲐᲚᲛᲐᲜᲐᲮ ,,ᲮᲝᲠᲜᲐᲑᲣᲯᲘᲡ" 2024 ᲬᲚᲘᲡ 2(17) ᲜᲝᲛᲔᲠᲘ!




**2024 წლის ნოემბერში გამოვიდა ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის" 2(17) ნომერი.**

ალმანახის რედაქტორია **გიორგი ნატროშვილი.** გარეკანი გაფორმებულია **მაკა სულაშვილის** ფოტოთი და **ნოდარ დარძულის** ნახატებით. ვინაიდან წელს წმ. დიდმოწამე ქეთევან დედოფლის წამებით აღსრულებიდან მე-400 წელია, გარეკანის პირველ გვერდზე გამოსახულია დედოფლისწყაროს სიონის საკათედრო ტაძრის წმ. ქეთევან დედოფლის ფრესკა; ყდის მე-2 გვერდი **ანა კალანდაძის** დაბადებიდან 100 წლისთავისადმია მიძღვნილი და გვთავაზობს მის ლექსებს: „მოდიოდა ნინო მთებით" და „პაწაწინა რტო ვარ". ყდის მე-3 გვერდზე იხილავთ მინი დოსიეს მხატვარ **ნოდარ დარძულის** შესახებ, რომლის ნახატებითაც არის გაფორმებული ალმანახის გარეკანის მე-4 გვერდი.

რუბრიკაში „პოეზია" მკითხველი გაეცნობა **ქეთევან ნათელაძეს, ლაშა გვასალიას, ვალიკო სამუკაშვილის, ოთარ ფალიანის და ნათელა ქურციკიძის** ლექსებს;

ხოლო რუბრიკაში „პროზა" წაიკითხავთ **ეკატერინე ფავლენიშვილის, ჯემალ მეხრიშვილის, ანა ერისთავის** და ახალგაზრდა ავტორის **სესილი ერაგიას** მოთხრობებს.

რუბრიკაში „პუბლიცისტიკა" გაეცნობით ცნობილი ენათმეცნიერის **გიორგი გოგოლაშვილის** და შესანიშნავი მწერლის და ლიტერატორის **თამაზ ხმალაძის** წერილს „მე დროსა ვტირი", რომელიც აკაკი წერეთლის კახეთში მეორე მოგზაურობას ეძღვნება. ამავე რუბრიკაში გაეცნობით **თემო ჭახნაკიას** წერილს „ქეთევან წამებულის სახე-კონცეპტი ქართულ პოეზიაში" და **სესილი ერაგიას** მცირე წერილს: რეზო ჭეიშვილი – „მუსიკა ქარში".

რუბრიკა „საბავშვო გვერდები" გვაცნობს პოეტ **ნატო ყატაშვილის** საბავშვო ლექსებს.

რუბრიკაში „დედოფლისწყაროს ისტორიიდან" წაიკითხავთ **გიორგი ვარამაშვილის** წერილს „პეტერე კურიშკოს მკვლელი – გაბრიელ ცისკარიშვილი", რომელიც პ. კურიშკოს მკვლელობის ახალ ვერსიას წარმოგვიდგენს.

რუბრიკაში „იუბილე" იხილავთ **ნანა ჭიჭინაძის** წერილებს „გივი **სიხარულიძე** – 80: სიხარულის დესპანი" და „საქართველოს ბულბულს" დავიწყება არ უწერია და ასევე **მარიკა პოპიაშვილის** წერილს: „ალექსანდრე **შავერზაშვილი** – 105" რომელშიც ამ სახელოვან მამულიშვილს უფრო ახლოს გაეცნობით.

რუბრიკაში „თარგმანი" იხილავთ გერმანელი მწერლის **ალფრედე ჰენშკეს** ლექსების **გიორგი ვარამაშვილისეულ** თარგმანს.

ხოლო რუბრიკაში „ხელოვნება" გაეცნობით **ნაზი ბალხამიშვილის** წერილს **„ილია ნიშნიანიძე** – ღვაწლმოსილი ხელოვანი", **ნანა ჭიჭინაძის** წერილს „ოტელო" – ნიჭიერების საჯილდაო ქვა" და ჟურნალისტ **ლალი მეხრიშვილის** წერილს: „ორი ფშავლის შემოქმედებითი საღამო საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში", რომელშიც დედოფლისწყაროელი მხატვრის **ნოდარ დარძულის** გამოფენაზე და ცნობილი ენათმეცნიერის **ქეთევან ჯერვალიძის** მიერ პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ ლექციაზეა საუბარი.



# ᲠᲐᲡ ᲔᲠᲩᲘᲐᲜ ᲗᲔᲛᲣᲠ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲡ?!

**ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚ თემურ წიკლაურის ოჯახს სათვალავი აერია, უკვე მარამდენე ვანდალიზმი განხორციელდა ხელოვანის საფლავზე.**

„გარეწრებმა კიდევ ერთხელ დააზიანეს თემოს საფლავზე მდგარი აწ განსვენებული ელიზბარ სააკაძის მიერ შექმნილი სკულპტურა. უკვე მერამდენე ვანდალიზმია! ასე ნაწილ-ნაწილ აცლიდნენ მონუმენტს ხან ხელებს, ხან – კუთხეებს, ხან – დედამიწას და მერამდენედ უნდა განახლებულიყო? მით უმეტეს, ახლიდან დაზიანების შანსი ისევ არსებობდა.

თემოს ქალიშვილმა გადაწყვეტილება მიიღო, მონუმენტი ამ ეტაპზე მოეხსნა საფლავიდან და ის შეენახა იქამდე, სანამ თემურ წიკლაურის მუზეუმი არ გაიხსნება, რისი პროექტიც და იდეაც კარგა ხანია, ქეთის აქვს და დიდი იმედი მაქვს, ის მალე განხორციელდება"...

**ᲑᲔᲡᲝ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ**




# ხარ ჭკვიანი და განათლებული?! ე. ი. მასონს შეგარქმევენ!

**სამი საუკუნეა, რაც მსოფლიოში გახმაურებულ მრავალ შეთქმულებაში მასონთა მოძრაობას სდებენ ბრალს. ბევრს სჯერა, რომ სამყაროს ეშმაკის თაყვანისმცემელი მასონები მართავენ; მასონების შემწეობით ბატონობენ ებრაელები მსოფლიოში და, კიდევ, ვინ იცის, რამდენ რამეს მიაწერენ ამ ბურუსით მოცულ გაერთიანებას. არადა, გაგიკვირდებათ, მსოფლიოს რა დიდი მოღვაწეები მოიაზრებიან მასონთა საეჭვო ერთობის წევრებად, მაგალითად, ბენჯამინ ფრანკლინი, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი, უინსტონ ჩერჩილი, მარკ ტვენი, ალექსანდრ პუშკინი და სხვები.**

ბოლოს და ბოლოს, ვინ არიან ეს მასონები და მათი იდუმალებით მოცული მოძრაობის გარშემო რატომ არსებობს შეთქმულების ამდენი თეორია და ლეგენდა?

სიტყვა „მასონი" მსოფლიოში ფრანგული და ინგლისური ენებიდან გავრცელდა. ფრანგული სიტყვა, **Franc-maçonnerie** და ინგლისური **Freemasonry** თავისუფალ ქვისმთლელობას ნიშნავს, ანუ თავდაპირველი მასონები ქვისმთლელები და მშენებლები იყვნენ.

მასონური ლეგენდის მიხედვით, მასონობა ბიბლიური მეფის, სოლომონის დროს წარმოიშვა. პირველი მასონები იერუსალიმის პირველი ტაძრის მშენებლები ყოფილან. ამიტომ დღევანდელ მასონობაში ბევრი ტერმინი და სახელი იმდროინდელია. ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით კი მასონობა მე-17-18 საუკუნეებში ინგლისში წარმოიშვა. ეს ის დროა,



1773 წელს პარიზში ლიბერალური მასონური ლოჟა დაარსდა

როცა განმანათლებლობა ფეხს იკიდებს ევროპაში. ადრე განათლებას მხოლოდ კეთილშობილ გვართა შვილები და უმაღლესი სასულიერო პირები იღებდნენ. მე-17 საუკუნეში კი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და სამშენებლო საქმის განვითარების შედეგად, ხელოსნებისა და მშენებლების განათლებული ფენა წარმოიქმნა, რომელიც თავისუფალ გილდიებს ქმნიდა. ამ დამოუკიდებელ გილდიებში ხელოსნები არა მარტო სახელოსნო საქმეს სწავლობდნენ, არამედ ფილოსოფიურ-ეზოთერულ განათლებასაც იღებდნენ. ასე წარმოიშვა მასონობა.

**მასონური იდეოლოგია გაჟღენთილია ბიბლიისმიერი ქრისტიანული იდეებით. ისინი უარყოფენ საეკლესიო დოგმებსა და კულტს, მაგრამ სჯერათ ღვთის, რომელმაც შექმნა სამყარო და არ ერევა მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობაში. გარდა ამისა, მასონებს სულის უკვდავების სჯერათ.**

თანამედროვე ისტორიკოსები მასონობას რელიგიურ-ეზოთერულ საგანმანათლებლო მოძრაობად მოიაზრებენ. თავად მასონები კი თავს ფილოსოფიურ და საქველმოქმედო პროგრესულ მოძრაობად მიიჩნევენ, რომლის მთავარი მიზანი თითოეული ადამიანის მორალური თვითგანვითარება, არსებული სამყაროს ცოდნა და მისი კულტურულად, სულიერად და მეცნიერულად გაუმჯობესებაა. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ეს იდეები იზიდავდა მეცნიერებს, პოლიტიკოსებს, მწერლებსა და კეთილი ნების სხვა ადამიანებს.

აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ ადამიანს, განურჩევლად პროფესიისა და სოციალური მდგომარეობისა, შეუძლია, გახდეს თავისუფალი მასონი და წინ წაიწიოს მოძრაობის შიდა იერარქიაში. მაგალითად, ლოჟის უფროსი უბრალო ხელოსანი შეიძლება ყოფილიყო. ჩვეულებრივი წევრი კი – აზნაური.

მე-18-19 საუკუნეებისთვის თანასწორობის ეს თეზა რევოლუციური იდეა იყო. ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით, პირველი მასონური კონვეენცია 1717 წლის 24 ივნისს დაარსდა. ვახშმად შეკრებილ მასონებს საერთო ლოჟის შექმნა გადაუწყვეტიათ. მასონმა,



პირველ ქართველ მასონად ისტორიკოსები ცნობილ მეცნიერს მიხეილ ბარათაშვილს მიიჩნევენ

ჯეიმს ანდერსონმა მასონთა წესდების წიგნი დაწერა. რამდენიმე წელიწადში მათი მოძრაობა მთელს ინგლისს მოედო და მალე ევროპის კონტინენტიც დაიპყრო. პირველი ევროპული მასონური ლოჟა ქალაქ ჰამბურგში გაიხსნა. მასონობა გავრცელდა გერმანიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიასა და რუსეთში. მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში მასონობა განსაკუთრებით სწრაფად გავრცელდა ბრიტანელ ოფიცრებს შორის, რამაც ჩრდილოეთ-ამერიკის კოლონიებში მის შეღწევას შეუწყო ხელი.

1773 წელს პარიზში ლიბერალური მასონური ლოჟა დაარსდა, რომელმაც მსოფლიოში ლიბერალურ მასონურ მოძრაობას მისცა დასაბამი. პარიზის ლოჟას განსაკუთრებული ადგილი უკავია მასონურ სამყაროში, რადგან მათ თავიანთ რიგებში ათეისტები მიიღეს და სეკულარიზმისა და სოციალური თანასწორობისადმი ერთგულება გამოაცხადეს. მასონური მოძრაობა, კლასიკური გაგებით, მათ რიგებში ქალთა გაწევრებას უარყოფდა. ლიბერალურმა მასონურმა ლოჟებმა კი ქალების დისკრიმინაცია დაგმო. პირველი მასონი ქალი ფრანგი ფემინისტი მწერალი მარია დერემი იყო, რომელიც 1882 წელს პარიზის ერთ-ერთ ლოჟას შეუერთდა. საქართველოში მასონობა **რუსეთიდან შემოვიდა. პირველ ქართველ მასონად ისტორიკოსები ცნობილ მეცნიერს მიხეილ ბარათაშვილს მიიჩნევენ. ის რუსეთში ვახტანგ მეექვსესთან ერთად გადასახლებული არისტოკრატიული ოჯახის წევრი იყო. 1816 წლიდან აქტიურად თანამშრომლობდა რუსეთის მასონურ წრეებთან და კარგი ურთიერთობა ჰქონდა დეკაბრისტებთან. მე-19 საუკუნის ბოლოს საქართველოში რუსეთის მასონური ლოჟების არაერთი ფილიალი გაიხსნა. მასონობა პოპულარობით სარგებლობდა რუსეთის სოციალ-დემოკრატებსა და სხვა პოლიტიკურ პარტიებში. მათ შორის იყვნენ ცნობილი ქართველი პოლიტიკოსები: კარლო ჩხეიძე, ნოე რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი, ირაკლი წერეთელი, ევგენი გეგჭკორი და სხვები.**

2015 წელს დაარსებულა საქართველოს გაერთიანებული დიადი ლოჟა. მასონები ერთმანეთს ძმებს უწოდებენ. ახალ მასონს ჰყავს მენტორი, რომელიც ხელმძღვანელობს მას და საკუთარ თავზე მუშაობაში ეხმარება. ლოჟების გაერთიანება ქმნის დიად ლოჟას, რომლის სათავეში დიდი მაგისტრი დგას. დიადი ლოჟები ერთმანეთს აღიარებენ მასონური სასაზღვრო ნიშნებისა და მასონური იურისდიქციის შესაბამისი რიტუალით.



1738 წელს რომის პაპმა კლემენტ მეთორმეტემ მასონების დასაგმობი ბულა გამოსცა

ზოგადად, მასონობას სიმბოლიკისა და რიტუალების სიჭარბე ახასიათებს, რაც მას დანარჩენი საზოგადოებიდან გამოარჩევს, მაგრამ ეჭვსაც ბევრს იწვევს. მასონთა მთავარი სიმბოლოა ყოვლის




2015 წელს დაარსდა საქართველოს გაერთიანებული დიადი ლოჟა

მჭვრეტელი თვალი, რომელიც მასონთა მოღვაწეობის მიმართ სამყაროს დიდი არქიტექტორის მზერას განასახიერებს; ასეთივე სიმბოლოებია თავისუფალ ქვის მთლელთა იარაღები, ფარგალი და კუთხედა. ამბობენ და წერენ, რომ დღეს მსოფლიოში 8 მილიონამდე მასონი და 10 ათასამდე ლოჟა არსებობს. მასონთა საიდუმლო ბუნებისა და მათი ლიბერალური იდეების თანაარსებობა საზოგადოებრივი წრეებისა და ხელისუფალთა ეჭვსა და წინააღმდეგობას იწვევს. ამიტომ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყნაში მასონურ ლოჟებს კრძალავდნენ ხოლმე. მასონობას ნეგატიურად უყურებს სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობაც, რადგან მასონურ მოძრაობაში არ არის გამოკვეთილი, თუ რომელი ღმერთის სჯერათ ან რომელ რელიგიურ დოგმებს ემორჩილებიან.

**1738 წელს, რომის პაპმა კლემენტ მეთორმეტემ მასონების დასაგმობი ბულა გამოსცა, რომ კათოლიკე მასონები განკვეთილ იქნენ ეკლესიიდან. ეს ბულა დღემდე მოქმედებს. მართლმადიდებლობაც კრძალავს მართლმადიდებელ მორწმუნეთა მასონურ ლოჟაში გაწევრებას, თუმცა, ასეთი აკრძალვები ვერ აჩერებდა დასავლელ მეფეებსა და პოლიტიკოსებს, მათ შორის, ვაშინგტონს, ჩერჩილს, ათათურქსა და სხვებს, მასონური ნათლობა მიეღოთ.**



**ნუგზარ ბ. რუხაძე,**
POSTV

# ევროკავშირის სანქციები 16 ინდივიდუალური პირისა და სამი ორგანიზაციისთვის

**ევროკავშირმა წევრი ქვეყნებისა და პარტნიორების წინააღმდეგ დესტაბილიზაციურ აქტივობებში ჩართული პირების მიმართ სანქციები დააწესა.**

**როგორც პრესრელიზშია ნათქვამი, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ევროკავშირის საბჭომ გადაწყვიტა, დააწესოს სანქციები 16 ინდივიდუალური პირისთვის და სამი ორგანიზაციისთვის, რომლებიც პასუხისმგებლები არიან საზღვარგარეთ რუსეთის დესტაბილიზაციურ ქმედებებზე.**

ევროკავშირის საბჭოს პრესრელიზის თანახმად, აღნიშნული სანქციების დასაწესებლად საჭირო შესაბამისი ჩარჩო 2024 წლის 8 ოქტომბერს შეიქმნა, რუსეთის ფედერაციის იმ ქმედებებსა და პოლიტიკაში ჩართულ პირთა წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების ფუნდამენტური ღირებულებების, უსაფრთხოების, სტაბილურობის, დამოუკიდებლობისთვის ძირის გამოთხრისკენ.

როგორც ევროკავშირის საბჭოს პრესრელიზშია ნათქვამი, სიაში მოხვდა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს დანაყოფი 29155, რომელიც ცნობილია საზღვარგარეთ განხორციელებული მკვლელობებით და დესტაბილიზაციური აქტივობებით, როგორიცაა აფეთქებების მოწყობა და კიბერთავდასხმები ევროპაში. ასევე, სამხედრო პერსონალის აქტივობებით უკრაინაში, დასავლეთ ბალკანეთსა და აფრიკაში.

ევროკავშირის საბჭოს ცნობით, სიაში არის აგრეთვე რუსეთის პრეზიდენტის ოფისის ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი სოფია ზახაროვა, გერმანელი დეპუტატის ეუგენ შმიდტის ყოფილი თანაშემწე ვლადიმირ სერგიენკო, რუსი მეწარმე ვიზა მიზაევი და მისი მეუღლე, რომლებიც ჩართული იყვნენ გერმანიის სადაზვერვო სააგენტოს წინააღმდეგ მიმართულ რუსეთის სპეცსამსახურების ოპერაციაში.

პრესრელიზის თანახმად, ასევე, ევროკავშირის საბჭოს მიერ შეთანხმებული სანქციები დაუწესდება მოლდოველ ბიზნესმენ ანატოლი პრიჟენკოს და რუსეთის მთავრობის წარმომადგენელ ალესია მილორადოვიჩს, რომლებიც საფრანგეთში რუსეთის მთავრობის კოლაბორაციონისტებს წარმოადგენენ.

სიაში ასევე მოხვდა ჟურნალისტი თინა კანდელაკი, რომელიც ამჟამად „გაზპრომ მედია ჰოლდინგის" გენერალური დირექტორის მოადგილეა.

ევროკავშირის საბჭო განმარტავს, რომ სასანქციო სიაში შეყვანილ პირებს გაეყინებათ **აქტივები და ევროკავშირის მოქალაქეებს თუ კომპანიებს მათთან თანამშრომლობა აეკრძალებათ. მათ ასევე აეკრძალებათ ევროკავშირის ქვეყნებში ჩასვლა და ევროკავშირის ტერიტორიაზე ტრანზიტი.**

# მოსკოვში რუსი გენერლის აფეთქება უკრაინელთა სპეცოპერაციის შედეგია



**უკრაინის უსაფრთხოების სამსახურში აცხადებენ, რომ მოსკოვში რუსი გენერლის იგორ კირილოვის აფეთქება მათი სპეცოპერაციის შედეგია.**

ამის შესახებ უკრაინის უსაფრთხოების სამსახურში „ბიბისის" უკრაინულ ბიუროს განუცხადეს.

რუსეთის შეიარაღებული ძალების რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის ძალების ხელმძღვანელი, გენერალ-ლეიტენანტი იგორ კირილოვი გუშინ დილით, მოსკოვში აფეთქების შედეგად დაიღუპა.

მედიასაშუალების წყაროების ინფორმაციით, დანაღმული თვითგორია იმ დროს აფეთქდა, როდესაც კირილოვი თანაშემწესთან ერთად, რიაზანის გამზირზე სახლის სადარბაზოში შედიოდა.

„კირილოვი იყო სამხედრო დამნაშავე და აბსოლუტურად კანონიერი სამიზნე, ვინაიდან უკრაინელი სამხედროების წინააღმდეგ აკრძალული ქიმიური იარაღის გამოყენების განკარგულებებს გასცემდა. ასეთი დასასრული ელოდება ყველას, ვინც უკრაინელებს კლავს. სამხედრო დანაშაულებისთვის შურისძიება გარდაუვალია", – განუცხადა ერთ-ერთმა წყარომ „ბიბისის" უკრაინულ სამსახურს.

მანამდე უკრაინის უსაფრთხოების სამსახურში განაცხადეს, რომ კირილოვი ეჭვმიტანილი იყო უკრაინის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში ქვეყნის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენებაში.

# საქართველოს ავიაბაზარზე ოპერირება Air China-მ დაიწყო



**საქართველოს ავიაბაზარზე ოპერირება ჩინეთის უმსხვილესმა ავიაკომპანია Air China-მ დაიწყო. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს აეროპორტების გაერთიანება ავრცელებს.**

მათივე ინფორმაციით, ავიაკომპანიამ გვიან ღამით თბილისის საერთაშორისო აეროპორტში პირველი პირდაპირი რეისი ურუმჩიდან BOENG 737-800-ით შეასრულა, რომელსაც 98 მგზავრი ჩამოჰყვა. ხოლო თბილისიდან ჩინეთის მიმართულებით 121 მგზავრი გაემგზავრა.

„თბილისის საერთაშორისო აეროპორტში პირველი მგზავრებისთვის და ავიაკომპანიის წარმომადგენლებისთვის TAV Georgia-ს ორგანიზებით დახვედრა გაიმართა.

ორ ქვეყანას შორის უვიზო რეჟიმის ორმხრივად ამოქმედების შემდეგ, ჩინური ავიაკომპანიების მხრიდან საქართველოს მიმართ ინტერესი გაზრდილია. საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ Air China-სთან ოპერირების დაწყების მიზნით აქტიური მოლაპარაკებები საავიაციო ფორუმ Routes Asia-2024-ის ფარგლებში გამართა. აეროპორტების გაერთიანება Air China-თან აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს, რომ საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქებს შორის პირდაპირი რეგულარული ავიამიმოსვლა დაიწყოს", – ნათქვამია ინფორმაციაში.

აეროპორტების გაერთიანების ინფორმაციით, 2024 წლის იანვარ-სექტემბრის ჩათვლით, ჩინეთიდან პირდაპირი გზით შემოსული ტურისტების რაოდენობამ 66,485 მგზავრი შეადგინა. Air China არის მეორე ჩინური ავიაკომპანია, რომელიც China Southern Airlines-ის შემდეგ საქართველოს საავიაციო ბაზარზე შემოვიდა. 69 წლის წინ დაარსებული AIR CHINA ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველაზე მსხვილი ავიაკომპანიაა. ის Star Alliance-ის წევრია და პირდაპირ ფრენებს მსოფლიოს 183 ქვეყანაში ახორციელებს.

# „ჩინეთის ლიდერმა ძალიან კარგად იცის, რომ ტრამპი მუქარის შემსრულებელია"



მესამე გვერდიდან

აშკარაა, ჩინეთის პრეზიდენტი არ ენდობა არავის, ვინც აშშ-ის პრეზიდენტის სავარძელს იკავებს.

„სი ძინპინმა იცის, რომ გიჟი ვარ", – ამბობდა ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატის ამპლუაში მყოფი დონალდ ტრამპი და იქადნიდა, თუკი თეთრ სახლში დაბრუნდებოდა, ჩინეთი ვერ გაბედავდა მის პროვოცირებას.

ის, რომ ჩინეთის პრეზიდენტი ანგარიშს უწევს დონალდ ტრამპს, იქიდანაც ჩანს, რომ ჯერ კიდევ 2019 წელს, როცა ჰონგ-კონგში მილიონი ადამიანი პეკინის გაზრდილ გავლენას აპროტესტებდა, ჩინეთმა ჯარი ვერ შეიყვანა პროტესტანტთა დასასჯელად, რადგან ტრამპმა ჩინეთის პრეზიდენტს მეგობრულად სთხოვა, ეს არ გაეკეთებინა.

„რომ არა მე, სი ძინპინი ჰინგკონგს 14 წუთში გაანადგურებდა", – სიამაყით ამბობდა ამ ხუთიოდე წლის წინ ტრამპი და ჩინეთის ლიდერს საკუთარ მეგობრად, შესანიშნავ კაცად მოიხსენიებდა.

რატომ სურდა ტრამპს საკუთარ ინაუგურაციაზე ძინპინის დაპატიჟება, ეს ჩინეთის მიმართ ახალი პოლიტიკის დაწყების მცდელობას და ურთიერთობის გადატვირთვას მოასწავებდა?!

„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის" ხელმძღვანელ **პეტრე მამრაძის** შეფასებით, ტრამპმა ძალიან კარგად იცის, რომ ჩინეთის ლიდერს ესმის ძალის ენა. როცა ხედავს ძალას, მაშინ ძინპინი უპრობლემოდ იხევს უკან. ის ფრთხილი ადამიანია, სადაც გასდის, იქ მიდის ბოლომდე.

„ამის შესახებ ამერიკელ ცნობილ პოლიტოლოგებს, ისტორიკოსებს დაუწერიათ, რომ ძინპინი, რომელიც არის ტოტალიტარული რეჟიმის ხელმძღვანელი და, რომელმაც გააუქმა კონსტიტუციაში ჩადებული წესი, რომ ორ ვადაზე მეტხანს არ შეიძლება იყოს პრეზიდენტად, ტრამპის მიმართ თავშეკავებულია. ტრამპის პირველი ვადით პრეზიდენტობისას, როცა ძინპინი ოფიციალური ვიზიტით ამერიკას ეწვია, ტრამპმა ის სადილზე მიიწვია საკუთარ რეზიდენციაში – მარ-ა-ლაგოში, ფლორიდაში. ამ დროს სასწრაფოდ დაურეკეს ტრამპს, მდივანმა მოახსენა ზარის შესახებ, მანაც ბოდიში მოიხადა ჩინეთის ლიდერთან, ცოტა ხნით დაგტოვებო, სასწრაფო საქმესთან დაკავშირებით გავიდა, უცებ დაბრუნდა და თქვა, „დამირეკეს ჩემმა მუშაკებმა და მითხრეს, რომ სირიაში დაძაბული ვითარება შეიქმნა, მეკითხებოდნენ, რა უნდა ვქნათ, მე გავეცი ბრძანება, დაბომბეთ, მიწასთან გაასწორეთ ყველაფერი, რაც იქ არის და ახლა ამის განხორციელებას შეუდგნენო". ძინპინმა ძალიან კარგად გაიგო ეს გაკვეთილი. უფრო მეტიც, ერთხელ ტრამპმა თქვა, „თუ ეცდებიან ბრიქსის ქვეყნები –ჩინეთი, რუსეთი და სხვები დედოლარიზაციას, ანუ შეკრავენ პირს, რომ დოლარმა ვერ იმოქმედოს, მე მაშინვე 100%-იან ტარიფებს დავადებ მათ საქონელს, რაც ამ ქვეყნების ეკონომიკურ კოლაფსს ნიშნავს". ასე რომ, ტრამპი არის მოქმედების კაცი", – აცხადებს პეტრე მამრაძე for.ge-სთან საუბრისას.

მისივე განმარტებით, ძინპინის მიწვევა ინაუგურაციაზე, ეს არის ტრამპის მხრიდან ურთიერთობის დათბობაც და ეს არის ურთიერთობის აწყობაც მკაფიო მესიჯებით, რომ შენ თუ ამ წესებს დაიცავ, გვექნება შესანიშნავი ურთიერთობა, შენთვისაც სასარგებლო და ჩვენთვისაც, ხოლო თუ რაღაცას გადააჭარბებ, შესაბამისად მოგექცევით. ანალიტიკოსის აზრით, ძინპინმა ძალიან კარგად იცის, რომ ტრამპი მუქარის შემსრულებელია.

რაც შეეხება საქართველოს, თუ როგორ აღიქვამს ტრამპი ჩინეთსა და საქართველოს შორის სტრატეგიულ ურთიერთობას და ანაკლიის პორტის მშენებლობას, პეტრე მამრაძე ფიქრობს, რომ ტრამპის ადმინისტრაციას ძალიან კარგად ესმის, რომ ერთადერთი სახელმწიფო გლობუსზე, რომელსაც შეუძლია ანაკლიაში შევიდეს, ეს ოფიციალურად განაცხადოს და შეუდგეს მშენებლობის ორგანიზებას, არის ჩინეთი. ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს, იმის გათვალისწინებით, რომ ანაკლია ზედ საოკუპაციო ხაზზეა, ამის გაკეთება არ შეუძლია. თუკი თბილისიდან 30 კილომეტრშია რუსული ტანკები, ანაკლიაში სულ რაღაც მეტრებშია რუსული ტანკები. ნებისმიერი სხვა სახელმწიფო დედამიწის ზურგზე, თუნდაც შეერთებული შტატები რომ შევიდეს ანაკლიაში, რუსეთი დემონსტრაციულად დააყენებს სამხედრო ხომალდებს სანაპიროზე და მთელი მსოფლიო დაინახავს, რომ აზრი არ აქვს პორტის მშენებლობას, როცა რუსი არსად არ გაატარებს ამ ტვირთებს.

„ისეთი გავლენა აქვს დღეს ჩინეთს რუსეთზე, რომ ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც პუტინი ვერ გაუბედავს ზედმეტის თქმას, ეს არის ჩინეთი. ჩინეთმა გამოაცხადა თუ არა, დიახ, მე ვკიდებ ანაკლიას ხელს და ჩვენი მთავრობაც დათანხმდა, მაშინვე მიიწვია დასავლური კომპანიები – დანიური, ნორვეგიული... ისინიც სიამოვნებით შევლენ ანაკლიაში, რადგან ჩინეთის ქოლგა მათთვის საკმარისი გარანტია უსაფრთხოებისთვის. არც ერთი ეს სახელმწიფო არ მიიღებდა ანაკლიის მშენებლობაში მონაწილეობას, რომ არა ჩინეთის ფაქტორი", – მიიჩნევს პეტრე მამრაძე.

**მანანა ნოზაძე**

## ალი ქაან ორბაი:

# თურქეთი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია!



**ჩვენ ვართ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი, მჭიდრო, მეზობელი და მეგობარი ქვეყანა. მზად ვართ, ერთობლივი პროექტები განვახორციელოთ იმისათვის, რომ მშვიდობა, სტაბილურობა, კეთილდღეობა და ეკონომიკური თანამშრომლობა კიდევ უფრო განვითარდეს რეგიონში, – ამის შესახებ საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ალი ქაან ორბაიმ ქვესადგური „წყალტუბო 500"-ის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.**

როგორც ელჩმა აღნიშნა, საქართველოსა და თურქეთს აქვთ შესანიშნავი პოლიტიკური ურთიერთობები და ეს ასახულია სრულყოფილ ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობებში.

„ეს ღონისძიება ემთხვევა ძალიან მნიშვნელოვან საეტაპო მოვლენას საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ორი დღის წინ საქართველომ წარმატებით აირჩია ახალი პრეზიდენტი. მე ვულოცავ მას არჩევას და მინდა, გამოვხატო ჩვენი მზაობა, რომ კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩვენი ორმხრივი ურთიერთობები მომდევნო პერიოდში.

ჩვენ ვართ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი, მჭიდრო, მეზობელი და მეგობარი ქვეყანა. მზად ვართ, ერთობლივი პროექტები განვახორციელოთ იმისათვის, რომ მშვიდობა, სტაბილურობა, კეთილდღეობა და ეკონომიკური თანამშრომლობა კიდევ უფრო განვითარდეს რეგიონში. ჩვენი შესანიშნავი პოლიტიკური ურთიერთობები საქართველოსთან ასევე ასახულია ჩვენს სრულყოფილ ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობებში. ყოვლისმომცველია ეს ურთიერთობები. თურქეთი არის ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი საქართველოსთვის. 98 წლიდან მოყოლებული, პირველი სავაჭრო პარტნიორი ვართ ბოლო 15 წლის განმავლობაში. ეს შესაძლებელი გახდა თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების საფუძველზე. ბოლო მონაცემებით, ჩვენ კვლავ პირველ ადგილზე ვართ სავაჭრო პარტნიორებს შორის და გვქონდა სამი მილიარდი დოლარის სამიზნე ორიენტირი და ამას გადავაჭარბეთ. **პრემიერ-მინისტრის თურქეთში, ანკარაში ვიზიტის შემდეგ, როდესაც ჩვენ ერთობლივად შევთანხმდით, რომ ეს სამიზნე ორიენტირი 5 მილიარდ დოლარამდე გაზრდილიყო. ჩვენ ამ მიზნისკენ ერთად მივდივართ და ვაპირებთ, რომ გადავაჭარბოთ ამასაც"**, – განაცხადა ელჩმა.

ოქტაგონზე



# ჯერ — მხოლოდ სურვილი

**UFC-ის ქართველმა ჩემპიონმა ილია თოფურიამ რამდენიმე დღის წინათ ესპანურ რადიოსთან საუბარში ზედა წონაში ასვლის სურვილი გამოთქვა და განაცხადა, რომ ჩარლზ ოლივეირასთან ჩხუბის გამართვა სურს.**

ილიას ამ განცხადებამ ყველა დააბნია და გაჩნდა იმის აზრი, თითქოს მის ამჟამინდელ ქამარს ვაკანტურს ტოვებდა და ქვემსუბუქ წონაში ჩხუბს აღარ აპირებდა. ამასთან დაკავშირებით ქართველი მებრძოლი პირად სოციალურ ქსელ X-ის საშუალებით განცხადებას ავრცელებს.

**„ქამარს ვაკანტურს არ გავხდი, წონის შეცვლის გადაწყვეტილება მხოლოდ მე მეკუთვნის და UFC-თან მოლაპარაკება ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ არ მქონია და ამიტომ ყველაფერი გადასაწყვეტია. შეწყვიტეთ აღნიშვნა, რადგან არსად წასვლას არ ვაპირებ. მე უკვე დავიპყარი ჩემი დივიზიონი და იგივეს გამეორებას ზედა წონაშიც ვაპირებ.“** – დაწერა ილიამ საკუთარ სოციალურ ქსელში.

შეგახსენებთ, რომ ილია თოფურიამ სატიტულო ბრძოლაში მაქს ჰოლოვეი დაანოკაუტა და საჩემპიონო ქამარი დაიცვა.

ევროლიგა

# შთამბეჭდავი დაბრუნება

**მართალია, რამდენიმე დღის წინათ გაუწყეთ, რომ ევროლიგაში შერცხვენილი ვირტუსის თავკაცს ლუკა ბანკის მთავარი მწვრთნელის პოსტზე საშა ჯორჯევიჩი შეცვლიდა, მაგრამ გაირკვა, რომ ბოლონიელთა შეფებმა გუნდის მართვის სადავეები უკანასკნელ მომენტში მონტენეგროელ გაჭირვების ტალკვესად აღიარებულ სპეციალისტს დუშკო ივანოვიჩს ჩააბარეს.**

ბედის ირონიით, როგორც ახალი დამრიგებლის დებიუტი, ისე **თორნიკე შენგელიას** მორიგი მატჩი იმ ესპანური კლუბის სარბიელზე შედგა, რომელიც ბასკური კარიერის გვირგვინამდე – ლიგა ენდესას ჩემპიონობამდე მიიყვანეს.

**ბასკონია – ვირტუსი 81:82**

უშეღავათო ბრძოლის კვანძი მართლაც რომ ზღაპრულად გაიხსნა: საფინალო სირენამდე 4 წამით ადრე მასპინძლები 3 ქულით დაწინაურდნენ, მაგრამ რატომღაც ტაქტიკური ჯარიმა არ აიღეს, კლაიბერნს პერიმეტრიდანაც ჩააგდებინეს მხსნელი ტყორცნა და თანაც ფოლი მიიღეს, რაც სტუმართა ვარსკვლავმა დედის რძესავით შეირგო.

რაც შეეხება შენგელიას მონაგარს, იგი ამჯერადაც ღირსეული გახლდათ: 30 წუთში 16 ქულა და 10 მოხსნა (ორმაგი დუბლი), **კამარ ბოლდუინს** კი მასპინძელთა რიგებში თავი არაფრით გამოუჩენია.

მოკლედ, იტალიური გრანდი არ ნებდება!



ორიოდე სიტყვით

**რაგბი**

**ჩელენჯ თასი.** მე-2 ტური. სკარლეთსი (უელსი) – შავი ლომი 36:18. ფრანგი მსაჯის სადავო გადაწყვეტილებებს შედეგად ის მოჰყვა, რომ დროის ნახევარზე მეტი კაცნაკლულებმა ვითამაშეთ, თანაც სამი მორაგბე დაგვემტვრა.

**ლელო**: ივანიშვილი, ბაბუნაშვილი. **საჯარიმო:** მატკავა. **გარდასახვა**: ცირეკიძე.

**11 იანვარს** ფრანგულ ბაიონს ვუმასპინძლებთ.

**ფარიკაობა**

**ბუდაპეშტი (უნგრეთი).** ახალგაზრდა მოხმალავეთა მსოფლიოს თასის გათამაშება. 200-ზე მეტი მონაწილე. **ბრინჯაო** – ალექსანდრა კუვაევა.

**ჭადრაკი**

**სკოპიე (ჩრდილოეთ მაკედონია).** ევროპის ჩემპიონატი. საერთო საპრიზო ფონდი 47 ათასი ევრო. 38 ქვეყნის 400-მდე მონაწილე. 2 **ბრინჯაო** – ბაადურ ჯობავა (სწრაფ და ელვისებურ თამაშში).



**ბატუტზე ხტომა**

**ზელიონა გორა (პოლონეთი).** ტრადიციული ახალგაზრდული საერთაშორისო ტურნირი „ზამთრის თასი“. 4 ქვეყნის 170-ზე მეტი წარმომადგენელი. საქართველო – 10 მედალი. **ოქრო** – მარიამ გაბრიაძე, ნინო მარკოზაშვილი, ელენე მურადაშვილი, გიორგი დელიბაშვილი, უტა პოჩიკაშვილი. **ვერცხლი** – ელენე კირთაძე, ანა ქარსაულიძე, დავით ჩხიკვაძე. **ბრინჯაო** – დავით გაფრინდაშვილი, ქრისტინე პლეხანოვა (ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი – **ზაურ სულაშვილი**). დავძენთ, რომ აღნიშნულ ასპარეზობაზე მსაჯებად იყვნენ მიწვეულნი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრები **სალომე გოდაველი** და **ირმა სოლოღაშვილი.**

**ხელბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**. ქალები. **ფინალი**. ნორვეგია – დანია 31:23. **შეხვედრა მე-3 ადგილისთვის**. უნგრეთი – საფრანგეთი 25:24.

# ფეხბურთი

**მუნდიალი – 2026.** საკვალიფიკაციო ტურნირის კალენდარი. **„ე“ ჯგუფი.**

**2025 წელი**




**4 სექტემბერი.** საქართველო – თურქეთი, ბულგარეთი – ესპანეთი ან ნიდერლანდები.

**7 სექტემბერი.** საქართველო – ბულგარეთი, თურქეთი – ესპანეთი ან ნიდერლანდები.

**11 ოქტომბერი.** ესპანეთი ან ნიდერლანდები – საქართველო, ბულგარეთი – თურქეთი.

**14 ოქტომბერი.** თურქეთი – საქართველო, ესპანეთი ან ნიდერლანდები – ბულგარეთი.

**15 ნოემბერი.** საქართველო – ესპანეთი ან ნიდერლანდები, თურქეთი – ბულგარეთი.

**18 ნოემბერი.** ბულგარეთი – საქართველო, ესპანეთი ან ნიდერლანდები – თურქეთი.

**ყველა ევროპული ჯგუფი**

**„ა“ ჯგუფი.** გერმანია ან იტალია, სლოვაკეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, ლუქსემბურგი.

**„ბ“ ჯგუფი.** შვეიცარია, შვედეთი, სლოვენია, კოსოვო.

**„გ“ ჯგუფი.** პორტუგალია ან დანია, საბერძნეთი, შოტლანდია, ბელარუსი.

**„დ“ ჯგუფი.** საფრანგეთი ან ხორვატეთი, უკრაინა, ისლანდია, აზერბაიჯანი.

**„ე“ ჯგუფი.** პორტუგალია ან დანია, უნგრეთი, ირლანდია, სომხეთი.

**„ზ“ ჯგუფი.** ესპანეთი ან ნიდერლანდები, პოლონეთი, ფინეთი, ლიეტუვა, მალტა.

**„თ“ ჯგუფი.** ავსტრია, რუმინეთი, ბოსნია, კვიპროსი, სან მარინო.

**„ი“ ჯგუფი.** გერმანია ან იტალია, ნორვეგია, ისრაელი, ესტონეთი, მოლდოვა.

**„კ“ ჯგუფი.** ბელგია, უელსი, ჩრდილოეთ მაკედონია, ყაზახეთი, ლიხტენშტაინი.

**„ლ“ ჯგუფი.** ინგლისი, სერბეთი, ალბანეთი, ლატვია, ანდორა.

**„მ“ ჯგუფი.** საფრანგეთი ან ხორვატეთი, ჩეხეთი, მონტენეგრო, ფარერები, გიბრალტარი.

**კრისტალბეთ ეროვნული ლიგა.** სეზონის ლაურეატები. ბომბარდირი და თავდამსხმელი – **ბიორნ იონსენი.** მოთამაშე – **გიორგი კოხრეიძე.** ნახევარმცველი – **ოთარ მამაგეიშვილი.** მეკარე – **დავით კერესელიძე**. მცველი – **გიორგი ჯგერენაია.** მწვრთნელი – **ლევან კორღალიძე**. გოლი – **თორნიკე მორჩილაძე**. სიმბოლური ნაკრები – კერესელიძე, კაპანაძე, სანდოხაძე, ჯგერენაია, შერგელაშვილი, ქარდავა, მამაგეიშვილი, კოხრეიძე, აბუაშვილი, ვოუტერი, იონსენი.

**ქალთა ლიგა**. ბომბარდირი – ნინო ბუხრიკიძე. მოთამაშე – **ანანო წიქარიძე.** მწვრთნელი – **გიორგი ჩხაიძე.**

**საფრანგეთის ლიგა** 1. პსჟ – ლიონი 3:1. სტუმართაგან გოლი **ჟორჟ მიქაუტაძემ** გაიტანა. ამავე უქმეებზე ზუსტად დაარტყეს სხვა ლეგიონერებმაც: **ზივზივაძემ** (დუბლი), **კაშიამ, ქოჩორაშვილმა, ეგოიანმა, სიხარულაშვილმა** და **ჭანტურიშვილმა.**

**აფრიკა.** 2024 წლის შავი კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელად ბერგამოს ატალანტას ნიგერიელი ბომბარდირი **ადემოლა ლუკმანი** დაასახელეს, რომელიც პირველად გახდა იქაურთა რჩეული.

სერია – ა-ს ლიდერის თავდამსხმელმა უდიდესი წვლილი შეიტანა **გასპერინის** გუნდის ტრიუმფში ევროპა ლიგაზე, სადაც ფინალში მანამდე დაუმარცხებელ ლევერკუზენთან ჰეთ-თრიქი შეასრულა, იტალიურ სეზონში კი 19 მატჩში უკვე 11 გოლი აქვს გატანილი.



# ახალი კოლექციების გამოფენა სიღნაღში



**საქართველოს ეროვნული მუზეუმის მხარდაჭერით, სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ახალი კოლექციის – „2021-2024“-ის მეხუთე ნაწილის გამოფენა გაიმართება. ეროვნული მუზეუმის ინფორმაციით, გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება: ვალერიან სიდამონ-ერისთავის, სერგო ქობულაძის, ვერა როხლინა-შლეზინგერისა და ირინა შტენბერგის ნამუშევრები.**

შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების ფონდის ახალშეძენილი ნამუშევრებით შევსება საქართველოს კულტურის სამინისტრომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, 2021 წლიდან, შეძლო.

ეს არის 122 მხატვრის ნამუშევრები, რომლებიც მანამდე მუზეუმს არ ჰქონდა ან იქ არასაკმარისად იყო წარმოდგენილი. ახალი კოლექცია წარმოაჩენს ქართული ხელოვნების განვითარების შთამბეჭდავ სურათს. აქ არის ე.წ.1950-1970-იანელ მხატვართა გრაფიკის ახალი კოლექცია. ნამუშევრების შეძენისას არჩევანი შეჩერდა მხატვრებზე, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ეროვნული გრაფიკული ხელოვნების განვითარებაში.

კოლექციაში მოხვდა სიღნაღის მუზეუმში გამართული ნონკონფორმისტ მხატვართა პირველი ჯგუფური გამოფენიდან შეძენილი ნამუშევრებიც. გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესი იყო ე.წ. 1980-1990-იანელთა თაობის მხატვართა ფერწერული სურათების შესყიდვა. ეს პერიოდი ქართულ მხატვრობაში გარდატეხის ხანად და ახალი ეტაპის დასაწყისად ითვლება. ამ კოლექციის მეშვეობით წარმოდგენილი ქართული მხატვრობის ნიმუშები ქმნის ინდივიდუალურ არტისტულ არჩევანთა კრებულს, რომელიც გვაძლევს საშუალებას, გავიგოთ, რომელი გზა აირჩია თითოეულმა მხატვარმა ადგილობრივი გარემოს შეზღუდვების გადასალახავად, საკუთარი გამოცდილების თანამედროვე ტენდენციებთან დასაკავშირებლად.

ასევე შესყიდულ იქნა მოდერნისტი მხატვრის ვალერიან სიდამონ-ერისთავის 1930-იან წლებში შექმნილი ნამუშევრები, მათ შორის – ბაქოს ინდუსტრიული ზონის მშენებლობის ამსახველი ფერწერული ტილოები და გრაფიკული ჩანახატები.

2022 წლიდან დღემდე შესაძლებელი გახდა მხატვრების: სერგო ქობულაძის, კირილე ზდანევიჩის, ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვის, ირინა შტენბერგის, გაიანე ხაჩატურიანისა და სხვათა ნამუშევრების, მოქანდაკეების: რუსუდან გაჩეჩილაძის, ვაჟა მელიქიშვილის, კარლო გრიგოლიასა და სიმონ გირკელიძის ქანდაკებების შეძენა.

შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების ფონდის ახალი კოლექცია ეტაპობრივად გამოიფინება. სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ამ კოლექციის მეხუთე გამოფენა იმართება.

გამოფენა 18 დეკემბერს გაიხსნება და 2025 წლის 23 მარტამდე გასტანს.

# ბებოს საოცარი გენი

**დასკვნა, რომელიც ბევრ რამეზე დაგაფიქრებთ – ბებია დედის ხაზით ყველაზე დიდ როლს ასრულებს ბავშვის ცხოვრებაში, ამბობენ გენეტიკის შემსწავლელი მეცნიერები. ის არა მარტო გადასცემს ბავშვს აუცილებელ ცოდნას, უნარებს, ჩუქნის სითბოსა და სიყვარულს (თუ მათ აქვთ აქტიური ურთიერთობა და ბავშვი ისედაც დიდ დროს ატარებს ამ ბებიასთან), არამედ მათი კავშირი ბევრად უფრო ღრმა არის.**

სპეციალისტები ამბობენ, რომ გენეტიკური ინფორმაციის დიდ ნაწილს ბავშვები დედის ხაზით ბებიისგან იღებენ.

ცხადია, ყველაფერი შედარებითია და თითოეული ოჯახი – უნიკალური. როდესაც საქმე გენეტიკას ეხება, რაიმეს წინასწარ გათვლა, რა თქმა უნდა, რთულია. უბრალოდ, ეს ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა და ყველაზე ხშირი, გამოკვლეული სპეციალისტების მიერ.

მშობლებისთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა უდიდესი როლი აქვთ ბებია-ბაბუას ბავშვის „ემოციური ინტელექტის განვითარებაში“.

სპეციალისტების აზრით, იმ ემოციებმა, რასაც განიცდიდა თავის დროზე ბებია, ბავშვის დედაზე ორსულობის დროს, შეიძლება იმოქმედოს შვილიშვილის განვითარებაზე.



ასევე მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ ოჯახი ერთი მთლიანი ორგანიზმია, რომლის წევრებიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან.

გენებთან და პოზიტივთან ერთად შვილიშვილებს გადაეცემათ მავნე ჩვევები და ამა თუ იმ დაავადებისადმი მიდრეკილება.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არ შეიძლება ზერელედ მოექცე საკუთარ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მდგომარეობას. ეს ყველაზე დიდი უპასუხისმგებლობაა, რადგან თქვენ არა მარტო საკუთარ თავს აყენებთ ზიანს, არამედ, მომავალ თაობებსაც.

# წყალტუბოს სოფელ გვიშტიბში საბრძოლო თვითმფრინავის ნაშთები იპოვეს

**თითქმის რვა ათეული წელი გვაშორებს მეორე მსოფლიო ომს. მას შემდეგ არაერთი ომი და სისხლისღვრა დატრიალდა, მაგრამ ასეთი მასშტაბური ტრაგედია არ ახსოვს ცივილიზებულ სამყაროს.**

ამ ტრაგედიის გამოძახილი გახლდათ ახლახან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში, ეგრეთ წოდებულ ბეკნარას უბანში, წყალსადენის გაყვანის სამუშაოებისას ნაპოვნი სამხედრო თვითმფრინავის ნაშთები.

შემთხვევის ადგილს სოფლის მკვიდრებთან, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთან, შპს „ჯ. და ჯ.“-ს თავკაცთან ჯეირან ომანაძესთან და ღვაწლმოსილ მედიკოსთან მიხეილ ბოჭორიშვილთან ერთად ვეწვიე. აღნიშნულ ლოკაციაზე, ისე როგორც მთელ სოფელში, ახლაც გრძელდება წყლის მილების მონტაჟი, ბეტონირებულ გზაზე მრავლად მოძრაობენ თვითმცლელები, ბულდოზერები, ექსკავატორები, ტრიალებენ მუშები...



ბადრი ხაინდრავას ფოტო

როგორც აქაურებმა: რუბენ ბაქრაძემ, ლუკა, შოთა ჩავჩიძეებმა, მავლინა შვანგირაძემ გვითხრეს, მშობლებისა და ბებია-ბაბუებისგან სმენიათ, რომ ომის პერიოდში, კერძოდ კავკასიასთან ბრძოლების დროს, მათი სოფლის ბოლოს კატასტროფა განიცადა ქუთაისის სამხედრო აეროდრომიდან ფრონტზე მიმავალმა მოიერიშე თვითმფრინავმა. მაშინ ეს ადგილები დაუსახლებელი და ჭაობიანი ყოფილა და მიწაში ღრმად ჩაფლული ნაავარიები თვითმფრინავის ამოღება არავის უცდია, რამაც აგერ, ამდენი ხნის შემდეგ ტკივილით შეგვახსენა თავი და კიდევ ერთხელ გვაგრძნობინა ომის საშინელება.

როგორც გავიგეთ, შესაბამის სამსახურებს ოპერატიულად მოუხდენიათ რეაგირება. გატანილია მიწაში აზელილი თვითმფრინავის ალუმინის კორპუსის ფრაგმენტები, მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევის გადარჩენილი ვაზნები. ჯერჯერობით გადათხრილი ორმოები შევსებულია, მიწის სიღრმეში კი ისევ რჩება მოიერიშის ძირითადი შასი, რადგან მისი სრულად ამოღება მნიშვნელოვნად დააზიანებს გზის ბეტონირებულ საფარს...

**მურთაზ კანკაძე,**
**გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ რედაქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი**

# არდავიწყება



საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილის

**რევაზ ბალანჩივაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

---

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და პედაგოგის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის

**რევაზ ბალანჩივაძის**

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მის ოჯახს, კოლეგებს, მეგობრებს, სტუდენტებსა და სრულიად საქართველოს.

---

კარგი და დიდებული ქართველი დაკარგა ქართულმა მეცნიერებამ, ფილოსოფიამ, ჟურნალისტიკამ და სრულიად საქართველომ!

გარდაიცვალა ბატონი **რევაზ ბალანჩივაძე** – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ჟურნალისტი, მეცნიერი, ბრწყინვალე მოქალაქე, მრავალ თაობათა აღმზრდელი და მასწავლებელი...

მშვიდობით, ბატონო რეზო!

ნათელში ამყოფოს უფალმა თქვენი სული...

**საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია**

---

გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკის“** რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბალანჩივაძეების წარჩინებული საგვარეულოს დიდებული წარმომადგენელი, გამოჩენილი ფილოსოფოსი, მეცნიერი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი და რედაქტორი, შესანატრი უბრალოებითა და სიკეთით სავსე კოლორიტული პიროვნება, დიდი სამეგობროს თვალისჩინი, დიდებული ოჯახის პატრონი

**რევაზ ბალანჩივაძე**

და თანაუგრძნობს სრულიად საქართველოს.

# ავტოსაგზაო შემთხვევას 2 ადამიანი შეეწირა

**ახალციხის მუნიციპალიტეტში ავარიას ორი ადამიანი ემსხვერპლა, ერთი კი დაშავდა. შემთხვევა სოფელ მუგარეთთან მოხდა.**

გავრცელებული ინფორმაციით, „ჰონდას“ მარკის ავტომობილი სავარაუდოდ, გადასასწრებად მანევრს ასრულებდა, რა დროსაც საჭე ვერ დაიმორჩილა, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ხეს შეეჯახა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მერვე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# მკვლელი პოლიციას ჩაბარდა

**ჩრდილოეთ საფრანგეთში შაბათს, 14 დეკემბერს, 22 წლის ბიჭმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა ხუთი ადამიანი, რომელთაგან ოთხი გარდაიცვალა ქალაქ დუნკერკის მახლობლად მიგრანტების ბანაკთან. კიდევ ერთი ადამიანი კი მეზობელ ქალაქ ვორმუთში, იუწყება Le Monde.**

ოფიციალური მონაცემებით, ეჭვმიტანილი, 22 წლის საფრანგეთის მოქალაქე, თავად ჩაბარდა ქალაქ ჟიველდეს ჟანდარმერიას და განაცხადა, რომ ამ მკვლელობების ჩამდენი თავად იყო. მისი მოქმედების მიზეზები ჯერჯერობით უცნობია. აღნიშნულ ფაქტზე პროკურატურამ გამოძიება დაიწყო.

# ქერჩის სრუტეში ორი რუსული ტანკერი ჩაიძირა

**ორი რუსული ტანკერი – Volgoneft-212 და Volgoneft-239 – ჩაიძირა ქერჩის სრუტეში სანაპიროდან რამდენიმე კილომეტრში. ამის შესახებ რუსული მედია თვითმხილველებზე დაყრდნობით იუწყება.**



მითითებულია, რომ დილით ძლიერმა ტალღებმა გემები დაანგრია. ჯერ დაზიანდა გემი Volganeft-212, რომელსაც 4 ტონაზე მეტ მაზუთი გადაჰქონდა, ერთი საათის შემდეგ კი – Volgoneft-239. თითოეულ ტანკერზე ეკიპაჟის 13 წევრია. მათი ბედი უცნობია.

# დადეშქელიანთა „რეზიდენციები“

**18 დეკემბერს, 12:00 საათზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში გაიმართება ფოტოგამოფენა და როზეტა გუჯეჯიანისა და ქეთი ხუციშვილის წიგნის წარდგენა: „დადეშქელიანთა რეზიდენციები: ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სოციო-კულტურული მნიშვნელობა და პერსპექტივები“.**

ორგანიზატორების ინფორმაციით, გამოფენა და ნაშრომი ეძღვნება სვანეთის გამორჩეული ფეოდალური საგვარეულოს – დადეშქელიანების ღვაწლს საქართველოს ისტორიასა და ქართული კულტურის განვითარებაში და განკუთვნილია დაინტერესებული საზოგადოების ფართო წრისთვის.

მისამართი: **ილია ჭავჭავაძის გამზ. N1. თსუ I კორპ. სააქტო დარბაზის ფოიე.**

# საგზაო კამერებს ვერ მოატყუებ

**დიდ ბრიტანეთში, დევონსა და კორნუოლში ახალი საგზაო კამერის ტესტირება მიმდინარეობს, რომელსაც ალკოჰოლური და ნარკოტიკული თრობის ქვეშ მყოფი მძღოლების გამოვლენა შეუძლია. ახალი კამერა ხელოვნური ინტელექტით არის აღჭურვილი. ინფორმაციას BBC ავრცელებს.**

თანამედროვე ტექნოლოგიებით შემუშავებული Heads-Up კამერა ავტომობილის გადაადგილებას და მძღოლის ქცევას იკვლევს, რომლებიც შესაძლოა ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობის ქვეშ იყვნენ. ამის შემდეგ ახლოს მყოფი პოლიციის ეკიპაჟი მძღოლს ალკოტესტს ჩაუტარებს.

გაერთიანებული სამეფოს კამერის დეველოპერის, Acusensus-ის აღმასრულებელი დირექტორის ჯეფ კოლინზის განაცხადებით, „მოხარულები ვართ, რომ ამ ტექნოლოგიის მსოფლიოში პირველ ცდებს ვატარებთ სწორედ აქ, დევონსა და კორნუოლში“.

ამასთან, კამერა შეიძლება სწრაფად განთავსდეს ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ გზაზე, გაფრთხილების გარეშე და მძღოლებს არ ეცოდინებათ, რომ ისინი დააფიქსირეს, სანამ პოლიცია მათ არ გააჩერებს.

**– ჩვენ ყველანი უფრო უსაფრთხო ვიქნებით, თუ შევძლებთ დარღვევის აღმოჩენას მანამ, სანამ ის გამოიწვევს ინციდენტს, რომელმაც შეიძლება სიცოცხლე შეიწიროს, – თქვა კოლინზმა.**



# პარალიზებულ ადამიანთა დასახმარებლად

**შანხაის ფუდანის უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტის მკვლევრებმა შექმნეს მოწყობილობა, რომელიც დაეხმარება ზურგის ტვინის დაზიანების გამო პარალიზებულ ადამიანებს ქვედა კიდურების კუნთებზე კონტროლის აღდგენაში. ამის შესახებ უცხოური მედია წერს.**

„ჩვენ შევიმუშავეთ ახალი თაობის მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი სიზუსტის ინტერფეისს თავის ტვინსა და ზურგის ტვინს შორის, აქვს მაღალი გამტარობა და დაბალი შეყოვნება“ – ამბობს ჯია ფუმინი, პროექტის წამყვანი მკვლევარი.

როგორც გამოცემა განმარტავს, ზურგის ტვინი ერთგვარი მაღალსიჩქარიანი არხია, რომელიც თავის ტვინსა და პერიფერიულ ნერვულ სისტემას აკავშირებს. თუ ზურგის ტვინი დაზიანებულია, თავის ტვინის სიგნალები ვერ აღწევს კუნთებამდე, რაც დამბლას იწვევს. ნერვების ასეთი დაზიანება შეუქცევადია, ამიტომ ასეთი პაციენტებისთვის მკურნალობის ამჟამინდელი მეთოდები უკიდურესად შეზღუდულია. მაგრამ ახალი ჩინური მოწყობილობით ეს პრობლემა შეიძლება გადაიჭრას.

ახალი ტექნოლოგია ეფუძნება ელექტროდების იმპლანტაციას თავისა და ზურგის ტვინში, რაც მათ შორის კავშირის აღდგენას ხელს შეუწყობს. მეცნიერების თქმით, მოწყობილობა პარალიზებულ პაციენტებს დაეხმარება სიარულის და დგომის უნარების აღდგენაში.

კლინიკური კვლევები მიმდინარე წლის ბოლოს დაიწყება ჩინეთის ერთ-ერთ სპეციალიზებულ კლინიკაში.





# ციკლონ „ჩიდოს“ ასობით ადამიანი ემსხვერპლა

**საფრანგეთის ზღვისიქითა კუნძულ მაიოტაში ციკლონ „ჩიდოს“ ასობით ადამიანი ემსხვერპლა. სტიქია რეგიონს გასულ ღამეს დაატყდა თავს, დაზიანდა დროებითი საცხოვრებელი სახლები, სამთავრობო შენობები და საავადმყოფო, – ინფორმაციას Reuters-ი ადგილობრივ ხელისუფლებაზე დაყრდნობით ავრცელებს.**

ამასთან, საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ამ დროისთვის ყველა მსხვერპლის აღრიცხვა რთულია და შესაბამისად, ამ ეტაპზე დაღუპულებისა და დაშავებულების ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია.

ციკლონმა „ჩიდომ“ მაიოტას ღამით დაარტყა. ქარის სიჩქარემ 200 კმ/სთ-ს გადააჭარბა. სინოპტიკოსების შეფასებით, კუნძულებს ასეთი ძლიერი ქარიშხალი 90 წელზე მეტი ხნის განმავლობაში თავს არ დასტყდომია.

# ავსტრალიაში 400 მილიონი წლის ნამარხი აღმოაჩინეს

**არქეოლოგებმა აღმოაჩინეს 400 მილიონი წლის ნამარხი, რომელიც შეიძლება იყოს ყველაზე პატარა ხერხემლიანი, რაც კი ოდესმე აღმოჩენილა.**



ეს ნამარხები სამგანზომილებაშია შემონახული, რაც უპრეცედენტო ხედს იძლევა არსების ჩონჩხის სტრუქტურაზე.

მიუხედავად იმისა, რომ მისი ზუსტი კლასიფიკაცია გაურკვეველია, მკვლევრები თვლიან, რომ მან შეინარჩუნა მრავალი ლავრის თვისება და, სავარაუდოდ, თანამედროვე ზვიგენების შორეული ნათესავი იყო.

„Palaeospondylus australis-ის აღმოჩენა ხაზს უსვამს ღრმა ევოლუციურ კავშირებს ძველ საზღვაო ეკოსისტემებს შორის მთელს მსოფლიოში. ამ ნამარხების შესანიშნავად შენახვა იძლევა უპრეცედენტო შესაძლებლობას, შევისწავლოთ ეს იდუმალი გვარი და მისი როლი ყბა ხერხემლიანების ადრეულ ევოლუციაში“,- ამბობენ მკვლევრები.

„ნამარხების კვლევაში ეს გარღვევა არა მხოლოდ ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ძველი ავსტრალიის ეკოსისტემების შესახებ, არამედ ხაზს უსვამს ადრეული ხერხემლიანთა სიცოცხლის გლობალურ კავშირებს კონტინენტებზე“, დასძინეს მეცნიერებმა.

# მოხეტიალე აისბერგი



**მსოფლიოს უდიდესი აისბერგი ისევ მოძრაობაშია, მას შემდეგ რაც წლის უმეტესი ნაწილი მორევში იყო ჩარჩენილი.**

აისბერგის ფსკერი სამხრეთ ოკეანის ნაწილის, უედელის ზღვის ფსკერზე იყო, სადაც ის 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტატისტიკური დარჩა.

მან ჩრდილოეთისკენ მოძრაობა 2020 წელს დაიწყო, მაგრამ გაზაფხულიდან ის ადგილზე ტრიალებს.

პარასკევს ბრიტანულმა ანტარქტიდის კვლევამ (BAC) განაცხადა, რომ ის ახლა უფრო ჩრდილოეთით მოძრაობს.

დოქტორი ენდრიუ მეიჯერსი, BAC-ის ოკეანოგრაფი ამბობს: „ამაღელვებელია, რომ ნახოთ ის კვლავ მოძრაობაში, გაჭედვის შემდეგ. ჩვენ გვაინტერესებს, გაივლის თუ არა ის იმავე მარშრუტს, რომელიც გაიარა სხვა დიდმა აისბერგებმა, რომლებიც ანტარქტიდას ჩამოშორდნენ“.

მსოფლიოს უდიდესი აისბერგი, საბოლოოდ დატოვებს სამხრეთ ოკეანეს და შევა ატლანტის ოკეანეში, სადაც შეხვდება უფრო თბილ წყლებს და სავარაუდოდ დაიშლება პატარა აისბერგებად და საბოლოოდ დადნება.

**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი - 2.8160; ევრო - 2.9551;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5617;**
**100 რუბლი - 2.7138; თურქული ლირა - 0.0805;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6561;**
**1000 სომხური დრამი - 7.1494.**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.**

**ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე,** აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 20 დეკემბერს